ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 20 ივლისი, 2018 | №170 (7715) | ფასი: 60 თეთრი

აფხაზეთში რუსი ბიზნესმენი გაიტაცეს და მის გამოსასყიდად 3 მილიონი დოლარი მოითხოვეს



გვ.7

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

## დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# რატომ მოუხსნა მურმან დუმბაძემ ნაციონალებს წყევლა



გვ.3

„ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირება თამაშია“

## „შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები დაინიშნება“





გვ.2

## დავით ჭიჭინაძე „ოცნებიდან“ გამოყრილების ფრაქციას ქმნის

რომან გოცირიძე: „გრიგოლ ვაშაძეს ყველაზე მეტი შანსი აქვს“



გვ.2



გვ.5

„ქართულ ოცნებაში“ რაღაც ხდება, რაც კარგს არაფერს მოიტანს“

დავით ლორთქიფანიძე: „კვირიკაშვილი, შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს“



გვ.4



გვ.5

ექნება თუ არა რუსეთს რევანშის მცდელობა საქართველოში?

ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე არასრულწლოვანი დ.ლ. დააკავეს



გვ.7

## სამართალი

გვ.7



ქუმსიშვილი-ალავიძის საქმე — პროკურატურა 710 მილიონის პროექტისთვის ნასესხებ ფულს ეძებს

ქუმსიშვილს დიმიტრი გაბუნია იცავს



22 წლის გეორგ სარქისიანის მკვლელობისთვის გამოძიება ძმებ ხითარიანებს ეძებს




გვ.5

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ 15 საავთიაქო დაწესებულებაში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა

## ეკონომიკა

გვ.6

მიხეილ სააკაშვილი: „ბანკების მოვალეთა რიცხვი 2012 წელს 110.000 იყო. ახლა ეს რიცხვი გაზრდილია 250.000-მდე“



საქართველომ მესამე კვარტალში 1.191 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი უნდა გადაიხადოს



ირაკლი კოვზანაძე: „საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა 23 ათას ფიზიკურ პირს ცხოვრებას გაუადვილებს“



ISSN 1987-9385

3 — ნინო ლომჯარია: „სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულმა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვა“

4 — ბანკებმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის დაკრედიტების ინტერესი დაკარგეს

3 — 20-დან 23 ივლისამდე ამინდი გაუარესდება

4 — მაია ცქიტიშვილი: „აუცილებელია დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა“

# რომან გოცირიძე: „გრიგოლ ვაშაძეს ყველაზე მეტი შანსი აქვს“

## „კორუფციული სკანდალისთვის ეს ხელისუფლება არავის დასჯის. მათ მხოლოდ აშინებენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***– ბატონო რომან, ნაციონალურმა მოძრაობამ და მასთან გაერთიანებულმა სუბიექტებმა საპრეზიდენტო კანდიდატი წარადგინეს. ბევრი ფიქრობს, რომ გრიგოლ ვაშაძეს შანსი არ აქვს, ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე ადგილისთვის იბრძვით. რა შანსები აქვს გრიგოლ ვაშაძეს?***

– ეს შანსები დამოკიდებულია ჩვენზეც და სხვაზეც. ჩვენზე იმიტომ, რომ გვყავს ძალიან სერიოზული და მძიმეწონიანი კანდიდატი, რომელსაც საზოგადოების დიდი მხარდაჭერა აქვს. ეს არ არის ერთი პარტიის, ეს არის მრავალი პარტიის კანდიდატი და თანდათანობით სხვა ორგანიზაციებიც შემოუერთდებიან ამ მოძრაობას. მეორე მიზეზი არის თავად „ქართული ოცნების“ სისუსტე. მათ არ ჰყავთ პრეზიდენტობის კანდიდატი.

***– ეყოლებათ...***

– როგორც თავად ამბობენ, უკვე ბევრს შესთავაზეს, როგორც ლირიკოსებს, ისე ფიზიკოსებს, პოეტებსაც და არაპოეტებსაც, კიდევ დიპლომატებსაც და უამრავ სხვა ადამიანს. ეს თვითონ აღიარა ბიძინა ივანიშვილმა, რომ ყველამ უარი უთხრა. მათ არ ჰყავთ კონკურენტუნარიანი კანდიდატი.

***– უჭირთ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა?***

– ასეა. მმართველი პარტიის სახელით ადამიანებს ესირცხვილებათ კენჭისყრა. „ქართული ოცნება“ თუკი 6 წლის წინ, როდესაც მან გაიმარჯვა, იყო პოპულარული, მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერილი და მისი ბრენდი იყო მკერდზე დახატული ამომავალი მზე, დღეს მათი ლოგო არის ზურგზე დამღა, რომელსაც აწერია უსამართლობა, ძალადობა და სიღარიბე!

ვინც უნდა იყოს დასახელებული, „ქართული ოცნების“ კანდიდატი უკვე დაღდასმულია. ამ დამღას ის ვერ ჩამოიცილებს. ის არის მემკვიდრე ამ პოლიტიკური გუნდისა. მათ ძალიან გაუჭირდებათ საპრეზიდენტო არჩევნებში ბრძოლა.

***– ხელისუფლების კანდიდატი ყოველთვის უფრო მომგებიან სიტუაციაშია.***

– რა თქმა უნდა, მათ აქვთ დიდი ფული, ადმინისტრაციული რესურსი, მაგრამ ყოველთვის მოევლება ხოლმე ასეთ საკითხებს, თუკი საზოგადოება იქნება ერთსულოვანი და არჩევნებზე მოვა.

***– ბიძინა ივანიშვილი ხომ არ გახდება იძულებული, საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს, თუკი ასეთი კრიზისი აქვს „ოცნებას“?***

– არაფერია გამორიცხული. ჯერ არავინ



იცის, „ქართულ ოცნებაში“ არავის აქვს წარმოდგენა, ვინ იქნება მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. ჯერჯერობით არც ბიძინა ივანიშვილმა იცის ეს, ვინაიდან დღეს ისინი საკმაოდ მძიმე სიტუაციაში არიან.

***– რთული პროცესები მიმდინარეობს სახელისუფლებო გუნდში?***

– ყველა კარგად ხედავს, რაც ხდება. ჭიჭინაძის გარიცხვა იყო ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი. რეალურად ჩანს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ადამიანებს ეკრძალებათ განსხვავებული აზრის გამოთქმა. ადამიანი გარიცხეს პარტიიდან კრიტიკის გამო.

ერთი მხრივ, მიდის კვირიკაშვილის კადრების დევნა, როგორც სამართლებრივი, ასევე მორალური. ყოფილ მინისტრებს იბარებენ პროკურატურაში, ჯერ ეს ყველაფერი არის გასაიდუმლოებული და შემდეგ თავად პროკურატურა აცხადებს ამ ფაქტის შესახებ, რომ ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იყოს მოდებული მთელ ქვეყანას და მიდის არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ მორალური დევნა.

***– უსამართლოდ დევნიან?***

– არავინ ამბობს იმას, რომ კვირიკაშვილის ან მისი წინამორბედების დროს არ იყო კორუფცია, რასაკვირველია, მათ პირობებში კორუფცია ყოველთვის ყვაოდა და განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მაგრამ, თუკი კორუფციაში ედავები სულ ახლახან გათავისუფლებულ მინისტრს, მაშინ რატომ არ არის დღეს დაპატიმრებული მისი წინამორბედი მინისტრი?!

ერთ-ერთი მათგანის დროს 25 მილიონი ჩაერიცხა უკრაინულ კომპანიას და ეს თანხა აორთქლდა. ისე დაიკარგა ამხელა თანხა, რომ გზის მშენებლობა არც კი დაწყებულა.

დღეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში 1,7 მილიარდი ლარის მშენებლობებია ჩასაბარებელი, მათ შორის მილიარდის მარტო გზებია. ამ გზებში ყოველთვის იმარჯვებდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები და, შესაბამისად, ეს თანხებიც კორუფციული არხებით ნაწილდებოდა და მათ შორის მიდიოდა „ქართულ ოცნებაშიც“ საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

***– ამით რის თქმა გსურთ?***

– იმის, რომ პასუხისმგებელია მთელი ხელისუფლება! ახლა ხელის შეხოცვა მხოლოდ ორ მინისტრზე, რაც უნდა დამნაშავეები იყვნენ, ნიშნავს იმას, რომ მოტივი არის პოლიტიკური! როდესაც არის მოტივი პოლიტიკური, მაშინ ამას უკვე პოლიტიკური დევნა ჰქვია.

მეორე მხრივ, დაიწყეს დეპუტატების დაშინება და ჭიჭინაძის გარიცხვა ნიშნავს, რომ ეს არის გამაფრთხილებელი სიგნალი პარტიის ყველა წევრისთვის, რომ თუკი დეპუტატს ასე ვექცევით, თქვენ ვინღა მიგდიხართ და უარესი მოგივათ. ახლა თავს იმართლებენ, რომ თურმე კრიტიკის გამო კი არ გაურიცხავთ, არამედ ამორალური გამონათქვამების გამო, რაც ძალიან სასაცილოა.

***– რატომ არის სასაცილო?***

– რომელ მორალზეა საუბარი, პარტიის ხელმძღვანელობაში რჩებიან კომკავშირელები და თურმე ეს ყოფილა ამორალური გამონათქვამი, როდესაც „ოცნების“ წარმომადგენლები ოპოზიციას დედას აგინებენ, კეთილებით მოიხსენიებენ, სცემენ და მათი მხრიდან მსგავსი ქმედებები არასდროს დასჯილა.

მორალი ძალიან პირობითი და მრავალწახნაგოვანია. მორალური სტანდარტი არის ის, რაც ჩადებულია რეგლამენტში, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს. ახალ რეგლამენტში სასჯელის ზომაც კია განსაზღვრული.

***– რას ითვალისწინებს ეს სასჯელი?***

– ძალიან სასაცილოა, მაგრამ ასეა: თუ ამორალურად მოიქცევი, არ წაგიყვანენ მივლინებაში უცხოეთში. მე იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც შეიძლება სასჯელის სახით იქნეს გამოყენებული დეპუტატის მიმართ, ასახულია რეგლამენტში და არსად წერია, რომ დეპუტატი უნდა გარიცხონ პარტიიდან აბსოლუტურად უწყინარი მიმართვის გამო.

ეს ნიშნავს პოლიტიკური წნეხის გაძლიერებას, პირველ რიგში, საკუთარ გუნდზე. არის ერთი ასეთი რუსული ანდაზა: ურტყი შენიანებს, რომ უცხოებს ეშინოდეთ. ურტყამენ საკუთარ გუნდის წევრებს და ამით აშინებენ საკუთარსაც და სხვებსაც, რომ ჩვენებს თუ ასე ვექცევით, თქვენ როგორ მოგექცევით! რა თქმა უნდა, ეს ფაქტი პარლამენტის იმიჯზე ძალიან ცუდად იმოქმედებს.

***– მინისტრების პასუხისმგებლობასა და პოლიტიკურ დევნაზე საუბრობდით. როგორ ფიქრობთ, კვირიკაშვილის მიმართაც გაუჩნდება პროკურატურას კითხვები?***

– დარწმუნებული ვარ, არავის არაფერს მოჰკითხავენ და არც არანაირი კორუფციული ქმედება იქნება გამოძიებული. ეს არის დაშინება, ადამიანებისთვის დოსიეს შექმნა, შავ სიაში შეყვანა, რათა ისინი იყვნენ ჩუმად, არ გაბედონ პოლიტიკური აქტიურობა, რომ ერთად არ შეიკრან კვირიკაშვილი, მარგველაშვილი, უსუფაშვილი და ასე შემდეგ.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ ცდილობენ მათ პოლიტიკურად განეიტრალებას, ამ ჯგუფის დაშინებას და ეს პოლიტიკური დევნაც საარჩევნო მიზნის მისაღწევად შეიძლება იყოს გამოყენებული.

საკუთარ სისტემაში არსებულ კორუფციას არ გამოიძიებენ და საკუთარ ტყავს არ დახევენ. თავადვე არიან ამ კორუფციული სქემის მონაწილეები.

***– მარგველაშვილი ახსენეთ და რას იტყვით მოქმედი პრეზიდენტის შანსებსა და იმ ჯგუფზე, რომელიც მის გარშემო აპირებს შემოკრებას?***

– ვის რა შანსები აქვს, დღეს ამაზე არ ვილაპარაკებ. ვიცი, რომ ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი შანსი და ეს შანსი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მარგველაშვილი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ის „ოცნების“ ხმებს წაიღებს და ამით უფრო მეტად იქნება გარანტირებული მეორე ტური, სადაც „ოცნებისა“ და ჩვენი კანდიდატი გავლენ.

მეორე ტურში, დიდი ალბათობით, ყველა ოპოზიციური პარტია მხარს დაუჭერს გაერთიანებული მოძრაობის კანდიდატს.

***– ანუ მეორე ტურს გარდაუვლად მიიჩნევთ?***

– ვნახოთ. უკეთესია, თუ პირველივე ტურში გაიმარჯვებ, თუმცა ჩვენ ამის ილუზია არ გვაქვს, გამომდინარე იმ რეალობიდან და რესურსებიდან, რომლებიც აქვს ხელისუფლებას. ამიტომ ჩვენთვის მისაღები ვარიანტია მეორე ტურში გასვლა და შემდეგ მთელი ოპოზიციის კონსოლიდაცია.

შესაძლოა, ყველაფერი პირველივე ტურშიც დამთავრდეს, თუ „ოცნებას“ ის კანდიდატები ეყოლება, რომლებზეც დღეს კულუარებში საუბრობენ. ეს „ოცნების“ სრული მარცხით დამთავრდება.

# დავით ჭიჭინაძე „ოცნებიდან“ გამოყრილების ფრაქციას ქმნის

## გედი ფოფხაძეს ბოდიში მოახდევინეს

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ განკითხვის ჟამი დადგა. პარლამენტის ხელმძღვანელობა და კახა კალაძე, რომლებსაც კოლეგები კომსომოლებად მოიხსენიებენ, ურჩ დეპუტატებს მკაცრი ზომებით ემუქრებიან.



ერთი ურჩი დეპუტატი უკვე დაისაჯა – 17 ივლისს „ქართული ოცნების“ სამდივნომ ისნის მაჟორიტარი დეპუტატი პარტიიდან გარიცხა.

მისი გარიცხვა იმავე დღეს სასტიკად გააპროტესტა დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ. ამ პროტესტის გამო მას მეორე დღეს ბოდიშის მოხდამ მოუწია. არადა, რამდენიმე თვის წინ ჭიჭინაძე „ოცნების“ ახალგაზრდულ-კომკავშირულ ფრთას პირველად მის გამო დაეტაკა.

გედი ფოფხაძე მაშინ ისეთი გაცეცხლებული იყო, რომ პარტიიდანაც კი მიდიოდა, მაგრამ ივანიშვილმა შემოადგა ფეხი პარტიაში და ფოფხაძეც დარჩა. ოღონდ მაშინ მას ბოდიში არ მოუხდია.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, თალაკვაძე, დავით ჭიჭინაძის პარტიიდან გარიცხვის საკითხზე კომენტირებისას აცხადებს, რომ არსებობს ელემენტარული თამაშის წესები და პრინციპები, რომელთა დარღვევის უფლებაც არავის აქვს.

– როდესაც შენი გუნდის წინააღმდეგ შეტევაში აღმოჩნდები, არ უნდა გაგიკვირდეს, თუ ამას სათანადო რეაქცია მოჰყვება. არსებობს ელემენტარული თამაშის წესები, პრინციპები, რომელთა დარღვევის უფლებასაც არავის მივცემთ. თუ ეს მომავალში გამეორდება, კიდევ უფრო მკაცრი პასუხი იქნება, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

საინტერესოა, რა მკაცრ ზომაზეა საუბარი. გამორიცხული არაა, დეპუტატს პარტიიდან გარიცხვა არ აკმარონ და მარჯვენა მოაჭრან ან ენა ამოაგლიჯონ. ყურში მარილის ჩაყრაც არაა გამორიცხული.

ჭიჭინაძის პარტიიდან მოკვეთის გადაწყვეტილებას ხელს კახა კალაძეც აწერს. ამ გადაწყვეტილების გამო ის თავს კომკავშირელად სულაც არ თვლის. მას ის ვერსიები აღიზიანებს, რომლებიც დეპუტატის გარიცხვასთან დაკავშირებით გავრცელდა.

– როდესაც არის განსხვავებული აზრი, ჩვენ ამას მივესალმებით. გუნდში ძალიან ბევრჯერ ყოფილა მსჯელობა, კამათიც, შეიძლება, გაცხარებულზე ერთმა მეორეს შეურაცხყოფა მიაყენოს, მაგრამ ეს ხდება შიგნით. როდესაც გამოდიხარ და უკვე პირად შეურაცხყოფას აყენებ ადამიანებს, მგონია, რომ არასწორია. პირველ რიგში ჩვენ ვართ ადამიანები, მერე ვართ პოლიტიკოსები. მე მგონი, ახალს ჩვენ არაფერს ვიგონებთ. ყველგან ასე არსებობენ პარტიები – თუ გაქვს განსხვავებული მოსაზრებები, უნდა დატოვო პარტია და იყო ოპოზიციაში, – განაცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში.

კიდევ ერთი გამრიცხავი გია ვოლსკი გადაწყვეტილებას მმართველი გუნდის სტაბილურობით ხსნის. ის ამბობს, რომ პიროვნულად ეს რთული გადაწყვეტილება იყო, თუმცა დავით

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ მოუხსნა მურმან დუმბაძემ ნაციონალებს წყევლა

## „ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირება თამაშია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ შეურიგდა ნაციონალებს და მოუხსნა თუ არა მათ წყევლა, რა დაღუპავს „ქართულ ოცნებას“, რით დააშინა ივანიშვილმა მარგველაშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

***– 2012 წლის არჩევნების წინ თქვენ საჯაროდ დაწყევლეთ ნაციონალური მოძრაობა. 6 წლის თავზე კი მათ გვერდით დადექით და ხალხს იმ პარტიის კანდიდატის შემოხაზვისკენ მოუწოდებთ, რომლისთვის ხმის მიცემის შემთხვევაში 6 წლის წინ ამომრჩეველს კიბოთი დაავადებას უწინასწარმეტყველებდით.***

– მოდით, დავაზუსტოთ, მე ნაციონალურ მოძრაობაში არ შევსულვარ. „ემსახურე საქართველო“ იმ ოპოზიციურ პარტიებს შეუერთდა, რომლებმაც ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელეს. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენ გვერდით სხვა ოპოზიციური პარტიებიც დადგებიან.

ოპოზიცია იმისთვის უნდა გაერთიანდეს, რომ ერთპარტიული მმართველობა დაასრულოს და არა იმისთვის, რასაც დავით უსუფაშვილი ქადაგებს.

***– უსუფაშვილის ქადაგებაში რას გულისხმობთ?***

– ცოტა ხნის წინ ეს ადამიანი გამოვიდა, პიჯაკის ორივე მხრიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და მიმართვა წაიკითხა. მან ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, რომ პრემიერის რანგში დაბრუნდეს, რაც დაუშვებელია. ივანიშვილის პოლიტიკურ ველზე დარჩენა ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღარ იარსებებს. გამოსავალი ამ ხელისუფლების შეცვლაა. უსუფაშვილს ეს თუ უნდა, მაშინ შეუძლია შემოგვიერთდეს. ივანიშვილის დაბრუნებაზე თუ ოცნებობს, შეუძლია „ოცნებასთან“ წავიდეს. ის 2 წლის წინ წამოვიდა იმ გუნდიდან და დღემდე პარტია ვერ შექმნა, აქამდე მოძრაობას ხელმძღვანელობს.

***– მოდით, ისევ თქვენ მიერ დაწყევლილ ნაცმოძრაობას დავუბრუნდეთ. 6 წლის წინანდელ წყევლას ვადა გაუვიდა და აღარ იმოქმედებს ამომრჩეველზე?***

– მაშინ საკითხი ასე იდგა – საქართველო უნდა გაგვეთავისუფლებინა სააკაშვილისგან. ეს აუცილებელი იყო და სწორედ ამიტომ დავწყევლე მაშინ ის, ვინც ამ პარტიას შემოხაზავდა.

დღეს საქართველოს თავისტკივილად უკვე ივანიშვილის „ოცნება“ იქცა. ამიტომაც მოვუხსენი ყოფილ ხელისუფლებას წყევლა. თუ ვინმეს ჩემი ძველი განცხადების გამო ეშინია, მინდა დავამშვიდო და ვუთხრა, რომ გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მარჯვენა და მარცხენა მაქვს, ფეხიც ძალიან კარგი მაქვს.

***– რას ნიშნავს, კარგი ფეხი გაქვთ?***

– სადაც მივდივარ, ყველგან წარმატება მიმაქვს. 2003 წელს იმ ხალხთან გავერთიანდი, ვისაც შევარდნაძისა და აბაშიძის დასრულება უნდოდა. ეს ბრძოლა 2003-2004 წლებში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

2011 წელს უკვე იმ გაერთიანებაში მივედი, რომელიც ივანიშვილმა სააკაშვილის წინააღმდეგ შექმნა. ეს ბრძოლაც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ივანიშვილი ყოველთვის სააკაშვილის გვერდით იდგა. ძალიან ბევრ საკადრო გადაწყვეტილებას ეგ იღებდა. ის ნაცმოძრაობის მთავარი დამფინანსებელიც გახლდათ.

***– სააკაშვილის დროს იღებდა ივანიშვილი საკადრო გადაწყვეტილებებს?***

– დიახ, სააკაშვილის დროს იღებდა ივანიშვილი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. არსად რომ არ ჩანდა, ეს ნურავის მოატყუებს, ამ ადამიანს არ უნდა ხელისუფლებაში ოფიციალურად ყოფნა, თორემ მიშას დროს აუცილებლად იქნებოდა რამე თანამდებობაზე.



***– ივანიშვილს გვერდით როცა დაუდექით, არ იცოდით, რომ ის სააკაშვილის გვერდით იდგა?***

– როგორ არ ვიცოდი, მაგრამ მაშინ აუცილებელი იყო გაერთიანება და ნაციონალების დასრულება. ახლაც იგივე სიტუაციაა. „ოცნების“ წინააღმდეგ ყველა უნდა გაერთიანდეს. აქამდე სადაც მივედი, ყველგან წარმატება მივიტანე და აქაც ალბათ ასე იქნება.

ასე გაგრძელება, უბრალოდ, აღარ შეიძლება. „ოცნების“ მოსვლის შემდეგ ქვეყანა, ფაქტობრივად, გაჩერდა. დიახ, საქართველოში უძრაობის ხანაა. სანამ ივანიშვილს პოლიტიკიდან არ განვდევნით, არაფერი შეიცვლება.

***– ივანიშვილის პოლიტიკიდან განდევნა ადვილი არ იქნება.***

– ადვილი არ იქნება. მან ოპოზიცია, ფაქტობრივად, მოკლა. მაგიტომაც გადაწყვიტა ათმა ოპოზიციურმა პარტიამ გაერთიანება. რაც მეტი პარტია შემოგვიერთდება, მით მალე დასრულდება ეს ხელისუფლება.

***– ეს გაერთიანება ნაციონალების გარშემოა შექმნილი. ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების გამო არ მოისურვებს მაგ გაერთიანებაში მოსვლას.***

– რა შუაშია აქ ნაციონალური მოძრაობა. ეს ერთობა ათმა პარტიამ შექმნა. იმ ადამიანებს მინდა ვკითხო, ვინც ნაციონალების გამო უკან იხევს, ამავე მიზეზით რატომ არ უპირისპირდებიან „ქართულ ოცნებას“? ყველასთვის ცნობილია, რომ ივანიშვილმა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები შეიფარა.



2012 წლის არჩევნების დღეს ბათუმში ვიყავი. თბილისში მეორე დღეს ჩამოვედი და „ოცნების“ ოფისში მივედი. იქ ისეთი სურათი ვნახე, თავი ნაცმოძრაობაში მეგონა.

***– რა სურათი ნახეთ?***

– „ოცნების“ ოფისი სავსე იყო იმ მაჟორიტარებით, რომლებიც ნაციონალების მიერ იყვნენ წარდგენილი. არჩევნების დასრულების შემდეგ ისინი ეგრევე შეუერთდნენ „ქართულ ოცნებას“. ივანიშვილმა ისინი დიდი სიხარულით მიიღო. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ჩვეულებრივი მაჟორიტარები არ იყვნენ. ბევრი მათგანი სერიოზული ბიზნესმენი იყო და სააკაშვილის წყალობით მსხვილ მონოპოლისტებად იქცნენ.

### „შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები დაინიშნება“

ივანიშვილმა ასევე სიხარულით გაუღო კარი სააკაშვილის მარბიელებს. ხელისუფლების რიგებში როცა ვიყავი, ამ თემაზე არაერთხელ ვიჩხუბე, მაგრამ არავინ მომისმინა.

იმ სისხლიანი 9 წლის განმავლობაში ლევან მურუსიძე უსამართლობის სიმბოლო იყო. იმის ნაცვლად, რომ მისთვის პასუხი მოეთხოვათ, დააწინაურეს და თემიდა ჩააბარეს. „ოცნების“ ლიდერმა ის სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლადაც კი წარმოგვიდგინა.

ახალ მაინტერესებს, ეს ადამიანები 9 წელზე არ აგებენ პასუხს და ყველაფერში დამნაშავე გრიგოლ ვაშაძეა? რომელსაც რომ მოენდომებინა, ივანიშვილისთვის ძალიან საინტერესო პერსონა გახდებოდა.

***– რას გულისხმობთ?***

– ისევე, როგორც კოლექტიურ ზარდიაშვილებს, მასაც შეეძლო ივანიშვილთან მისვლა. „ოცნება“ მას სიხარულით მიიღებდა. ამ ადამიანმა პრინციპებს ვერ უღალატა და ბოკერიასავით არ წავიდა ივანიშვილისკენ.

ადამიანები, რომლებიც პრინციპებს არ ღალატობენ, პატივისცემას იმსახურებენ. მიმაჩნია, რომ ის ღირსეული პრეზიდენტი იქნება. საპრეზიდენტო არჩევნები აუცილებლად ოპოზიციამ უნდა მოიგოს. ოპოზიციური კანდიდატი შეუდგება თუ არა პრეზიდენტის მოვალეობას, მეორე დღესვე დაითხოვს პარლამენტს და ვადამდელი არჩევნები დაინიშნება. ვადამდელი არჩევნები „ქართულ ოცნებას“ დაასრულებს.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ძალაუფლება ერთ პარტიას აღარ ჩაუვარდეს ხელში. საქართველოში უნდა დასრულდეს ის დრო, როცა გამარჯვებული პარტია ძალიან მარტივად აკომპლექტებს მთავრობას. გამოსავალი კოალიციურ მთავრობაშია.

ივარაუდეთ, რომ ოპოზიცია ნაციონალების გამო შეიკავებს თავს ჩვენ გვერდით დადგომისგან. თავშეკავებულებს მინდა ვკითხო, იციან, ვინ არის ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის უფროსი? ვინ არის და დავით რიჟვაძე, რომელიც სააკაშვილის მარბიელი იყო და ოპოზიციის მიტინგებს არბევდა.

რიჟვაძის შვილი აჭარის მთავრობის მეთაურად დანიშნეს. პირადად იმ ადამიანთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მთავრობის მეთაურს მინდა ვკითხო, უნდა დაისაჯონ თუ არა ზონდერები? საინტერესოა, რას მიპასუხებს.

***– რიჟვაძე ვახსენეთ და, თქვენი აზრით, რატომ წარადგინა პრეზიდენტმა მისი კანდიდატურა? იყო ინფორმაცია, რომ ის ოპოზიციის კანდიდატს წარადგენდა.***

– მარგველაშვილმა იმიტომ წარადგინა რიჟვაძის კანდიდატურა, რომ ივანიშვილის შეეშინდა.

***– რას ნიშნავს, შეეშინდა?***

– იმას, რომ ივანიშვილის შეეშინდა და ის კანდიდატურა წარადგინა, რომელზეც მას ყოფილმა პრემიერმა მიუთითა. მარგველაშვილი მშიშარა ადამიანია. ის ივანიშვილმა რაღაცით შეაშინა.

***– შეშინება თუ შეეძლო, აქამდე შეეშინებინა. მარგველაშვილი ხშირად მიდიოდა ამ წლების განმავლობაში ივანიშვილის წინააღმდეგ.***

– ეს ყველაფერი ივანიშვილთან იყო შეთანხმებული. პრეზიდენტი მის გარეშე არაფერს აკეთებდა.

***– გინდათ თქვათ, რომ „ოცნებისა“ და მარგველაშვილის დაპირისპირება თამაშია?***

– ივანიშვილისა და მარგველაშვილის დაპირისპირება ნამდვილად თამაშია. ყველაფერი, რაც „ოცნების“ გარშემო ხდება, ყოფილ პრემიერთან არის შეთანხმებული. ამ დღეებში დეპუტატი დავით ჭიჭინაძე პარტიიდან გარიცხეს. ვიღაცები ამტკიცებენ, რომ ეს ივანიშვილის გარეშე გადაწყვიტეს. არ დაიჯეროთ, ასეთ გადაწყვეტილებებს პირადად ყოფილი პრემიერი იღებს.

ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. „ოცნებიდან“ იმიტომ გამრიცხეს, რომ სიმართლეს ვამბობდი. მაშინაც ისეთი სურათი დახატეს, თითქოს ბიძინამ არაფერი იცოდა. არადა, მისი ბრძანებით მოხდა ეს.

გარიცხვამდე ორი კვირით ადრე ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მესაუბრა და მითხრა, ივანიშვილმა შენი გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღოო. ორ კვირაში გამრიცხეს. ჭიჭინაძის შემთხვევაშიც ასე იქნებოდა.

მმართველ პარტიაში განსხვავებულ აზრს ვერ იტანენ, ჭიჭინაძის გარიცხვით დაძაბულობას ვერ გადაფარავენ. ბევრი ადამიანი დატოვებს „ოცნებას“. ამ პარტიაში ბევრი ნაცნობი მყავს და კარგად ვიცი, იქ რაც ხდება.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხდება?***

– რა ხდება და ჭამენ ერთმანეთს.

***– საპარლამენტო გუნდშიც ჭამენ ერთმანეთს?***

– პარლამენტშიც ჭამენ და აჭარის უმაღლეს საბჭოშიც. ძალიან ბევრი ნაცნობი და ახლობელი მყავს ამ პარტიაში. მათგან ვიცი, რომ ძალიან მძიმე ვითარებაა.

***– რის გამო ჭამენ ერთმანეთს?***

– ბევრი რამის გამო. პარლამენტში გიორგი კვირიკაშვილს ჰყავს თავისი ხალხი. ისინი აუცილებლად გამოაჩენენ თავს. ეს ამბები ასე მარტივად არ ჩაივლის.

# 20–დან 23 ივლისამდე ამინდი გაუარესდება




გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 20-დან 23 ივლისამდე მოსალოდნელია ამინდის გაუარესება და მდინარეებზე წყლის დონის მატება.

სააგენტოს ცნობით, 20-დან 23 ივლისამდე საქართველოში შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან მოსალოდნელია შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა და ქარის გაძლიერება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექმა შესაძლებელია საქართველოს მდინარეებზე წყლის დონის მატება, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

# ნინო ლომჯარია: „სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულმა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვა“

სახალხო დამცველის ინფორმაციით, სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულმა პირმა ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებთან საუბარი არ ისურვა.

– ჩემი თხოვნით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული პირი საპატიმრო დაწესებულებაში მოინახულეს, თუმცა მან ჩვენთან საუბარი არ ისურვა. მან არ ისურვა თუნდაც იმ განცხადებების დაოქმება, რომლებიც სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან გააკეთა. ჩვენი მხრიდან ინტერესი იყო, თუმცა ბრალდებული ჩვენთან კომუნიკაციაზე არ წამოვიდა, – განაცხადა ლომჯარიამ პარლამენტის სხდომაზე.



პარლამენტი, რიგგარეშე სხდომის ფორმატში, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშს ისმენს.

6 ივლისს მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამერიკელი ცოლ-ქმარი, რაიან და ლორა სმიტები, ასევე მათი 4 წლის ვაჟი, დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში გაუჩინარდნენ. რამდენიმე დღეში კი მათი ცხედრები იპოვეს. მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია 19 წლის მწყემსი მალხაზ კობაური, რომელმაც, გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახი კონფლიქტის ნიადაგზე დახოცა. დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

# დავით ლორთქიფანიძე: „კვირიკაშვილი, შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს“

## „ძალიან გამიკვირდა, როცა ნაციონალებთან მურმან დუმბაძე დავინახე“

გულიკო ბალაძე

არის თუ არა „ქართული ოცნების“ გუნდში დაპირისპირება და უპირისპირდება თუ არა ის მამუკა ბახტაძეს, ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი **დავით ლორთქიფანიძე** ესაუბრა.

***— ბატონო დავით, „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირების ახალი პროცესი შეიმჩნევა. ზოგიერთი ოცნებელი პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელმაც წინა პრემიერის დამადანაშაულებელი განცხადება გააკეთა. როგორ ახსნით და აფასებთ ამგვარ პროცესებს?***

— სანამ ამ კითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მინდა ჩვენი წინა ინტერვიუს სათაურს შევეხო. ინტერვიუს სათაურად გამოტანილია, მამუკა ბახტაძეს მოუწევს განმარტების გაკეთება, რატომ ჩაურიცხა 20 ათასი ნაცმოძრაობასო. მე ვთქვი, ახალგაზრდა კაცია და თუ უნდა პოლიტიკაში დიდხანს იყოს, მისთვის უკეთესი იქნება, განმარტება გააკეთოს-მეთქი. ჩემი ნათქვამი ცოტა სხვანაირად გაიგეს. მამუკა ბახტაძე პრემიერად ახალი მოსულია, რატომ უნდა იფიქროს, რომ მე მას ვუპირისპირდები.



***— ანუ თქვენ არ უპირისპირდებით პრემიერ მამუკა ბახტაძეს?***

— რა თქმა უნდა, არ ვუპირისპირდები, რატომ უნდა დავუპირისპირდე მამუკა ბახტაძეს.

***— თქვენ მამუკა ბახტაძეს არ უპირისპირდებით, თუმცა, „ქართული ოცნების“ გუნდში შეიმჩნევა დაპირისპირება.***

— პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ, კონკრეტულად, ერთი დეპუტატის გამოთქმული მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს ტენდენციად. ალბათ, კობახიძის მიმართ ჭიჭინაძის განცხადებას გულისხმობთ.

***— დიახ, მოგეხსენებათ, ტყიბულის მაღაროში ადამიანების დაღუპვამ გარკვეული რეაქციები გამოიწვია. ამიტომ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ჩვენ გვინდოდა, მკაცრი რეგულაციები ჩაგვეწერა კანონში, მაგრამ მთავრობა ბიზნესს უფრთხილდებოდაო. ამას მოჰყვა ჭიჭინაძის განცხადება, კობახიძე უნდა გადადგესო.***

— ჭიჭინაძემ მეორე განცხადებაც გააკეთა – კობახიძე პარლამენტის როლს აკნინებსო. ეს ჭიჭინაძის აზრია. ის პარლამენტის წევრია და თავისი აზრის გამოთქმაში თავისუფალია. რამდენად ჯდება გუნდურ თამაშში, „ქართული ოცნების“ ფრაქციისა და მისი გასარჩევი საკითხია. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეზე კონკრეტულ დეპუტატს განსხვავებული აზრი აქვს, ეს საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით აპრიორი დაპირისპირებას არ ნიშნავს. თუმცა, ასეთი განცხადებები სასიამოვნო შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ამიტომ, ალბათ, დღის წესრიგში დადგება ამასთან დაკავშირებით გუნდის შიგნით საუბარი, რათა გაირკვეს, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. „ქართული ოცნება“ მხოლოდ პარლამენტში ხომ არ არის, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და რეგიონებშიცაა და ბევრ ადამიანს აინტერესებს, რეალურად რა პროცესთან გვაქვს საქმე. ამიტომ, ვფიქრობ, დღის წესრიგში დადგება ამ საკითხის გუნდში განხილვა.

***— როდესაც ასეთი განცხადებები კეთდება, ყოველთვის ბიძინა ივანიშვილს უკავშირებენ, ბიძინა ივანიშვილმა ხომ არ ათქმევინაო, ანუ ბიძინა ივანიშვილისაგან ხომ არ მოდის ჭიჭინაძის განცხადება, კობახიძე უნდა გადადგესო.***

— მე არ მგონია, რომ ეს ბიძინა ივანიშვილისაგან მომდინარეობდეს. ჯერ ერთი, ცოტა ხნის წინ ჭიჭინაძემ თვითონ გააკეთა განცხადება, რომ ბიძინა ივანიშვილს არც იცნობს, სულ ერთხელ შეხვდა ოფიციალურ შეხვედრაზე. მისი ამ განცხადებიდან ძალიან ცოტა დროა გასული და, არა მგონია, ასეთ მოკლე დროში ბატონი ბიძინას ასეთი ფარული მეკავშირე გამხდარიყო, რომ მას უთხრას, ასეთი განცხადებები გააკეთეო. ამიტომ ეგ აზრი არ მგონია სწორი.

ჩემი ღრმა რწმენით, ბიძინა ივანიშვილი ის ფიგურა არ არის, რაღაც განცხადების გაკეთება დასჭირდეს და ვინმეს ათქმევინოს. მას იმხელა პოლიტიკური წონა აქვს გუნდში, რომ თუ საჭიროა თქმა, მან თვითონვე მიუთითებს ამა თუ იმ პარლამენტის წევრს რაღაც თემებთან დაკავშირებით.

***— მე რაც მესმის საზოგადოებაში, იმას გეუბნებით.***

— მოსახლეობას ლეგიტიმური უფლება აქვს იფიქროს, ასეთი განცხადებები ბიძინა ივანიშვილის სურვილებთან ნამდვილად არის თუ არა დაკავშირებული. მათ ამის უფლებას ვერ წავართმევთ, მაგრამ ჩემი, როგორც ერთი პოლიტიკოსის ინფორმაციით, იმ ადამიანს, რომელმაც ძალიან კარგად იცის შიდა სამზარეულოს ამბები, როგორ ხდება, რა არის და ვიცნობ რა, ბატონ ბიძინას კარგად, მე ვერ ვიტყვი იმას, რომ მან ასეთი დავალება მისცა ბატონ ჭიჭინაძეს.

***— ბოლო დროს, რაც კვირიკაშვილი პრემიერობიდან გადადგა, დაიწყო საუბრები „კვირიკაშვილის გუნდსა“ და დანარჩენებზე. დანარჩენში, ალბათ, ბიძინა ივანიშვილის გუნდი მოიაზრება. რადგან კვირიკაშვილი პოლიტიკიდან წავიდა, ლაპარაკობენ კვირიკაშვილის გუნდის წარმომადგენლების დევნაზე, თან ითქვა, რომ კობახიძე თავის დროზე კვირიკაშვილის კადრი იყო, მისი მხარდაჭერით გახდა პარლამენტის თავმჯდომარე და ამიტომ კეთდება განცხადება მისი გადადგომის საჭიროებაზე. ხომ გესმით, როგორ უკავშირებენ ამ ორ საკითხს.***

— მე არ მგონია, კობახიძე მხოლოდ კვირიკაშვილის მხარდაჭერით გამხდარიყო პარლამენტის თავმჯდომარე, რადგან გადაწყვეტილება ერთპიროვნულად ვერ იქნებოდა მიღებული. კობახიძის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენა ერთპიროვნულად არც იყო მიღებული. ამიტომ იმის თქმა, პარლამენტის თავმჯდომარეობა ირაკლი კობახიძეს უბოძა გიორგი კვირიკაშვილმა და იმის გამო, რომ გიორგი აღარ არის პრემიერ-მინისტრი, კობახიძე უნდა დაისაჯოს, არ მგონია, სწორი იყოს. ამის შესახებ შიგნიდან მაქვს ინფორმაცია და ასე ნამდვილად არ არის.

***— კვირიკაშვილის გუნდის წევრობას უკავშირებენ იმასაც, რომ ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი ალავიძე და ყოფილი ვიცეპრემიერი და ეკონომიკის მინისტრი ქუმსიშვილი პროკურატურაში გამოკითხეს. ალავიძემ თქვა, რომ გამოკითხვა მის მინისტრობამდე და მისი მინისტრობის პერიოდში ჩატარებულ ტენდერებს უკავშირდებოდა. თქვენ ამ პროცესს როგორ აღიქვამთ? ამასაც ე.წ. დევნის პროცესად განიხილავენ.***

— ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ვის გუნდში მოიაზრება. ჩემთვის მთავარია, ჩვენი ამომრჩევლის, ჩვენი გადამხდელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ფული რაციონალურად იხარჯებოდეს და კითხვისნიშნიან ხარჯებთან დაკავშირებული არ იყოს.

ამიტომ მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს, თუ კითხვის ნიშნები გაჩნდა, პროკურატუ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# დავით ჭიჭინაძე „ოცნებიდან“ გამოყრილების ფრაქციას ქმნის

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჭიჭინაძე თავისი შეხედულებებითა და გამონათქვამებით გუნდის სხვა წევრების მოსაზრებებს დაუპირისპირდა.

— იმის წარმოჩენის მცდელობა იქნება, რომ ეს არის გაფრთხილება და დემარში. ჩემთვის პიროვნულად ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ პიროვნული დამოკიდებულების მიღმა არსებობს ინტერესი, რასაც მმართველი გუნდის სტაბილურობა ჰქვია. ეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ ეხება. ვფიქრობ, სახელმწიფო ინტერესებში სტაბილურობა პირველი ამოცანაა.

დავით ჭიჭინაძე თავისი შეხედულებებითა და გამონათქვამებით გუნდის სხვა წევრების მოსაზრებებს დაუპირისპირდა და ვერ ვიტყოდი, რომ დიდი ტრაგიკული გადაწყვეტილება მივიღეთ. ადამიანი, რომელიც თავისი შეხედულებებითა და პრინციპებით წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რასაც გუნდის შეხედულებები ჰქვია, თუნდაც სტაბილურობის ინტერესი, პარტიამაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. არაფერზე გავბრაზებულვარ, არის საკითხები, რომლებიც ადამიანებს ყოფს. საქმე სწორედ ამასთან გვაქვს. ოფიციალური გაფრთხილება და პირად საქმეში შეტანით არ ყოფილა.

მას ამ თემებზე საუბარი უმრავლესობის ლიდერთან ჰქონდა. არის შეხედულებები, რომლებიც ერთმანეთს არ შეესაბამება და გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს. საუბარი თავისუფლების შეზღუდვაზე არ არის, ლაპარაკია პრინციპების განსხვავებაზე. სახელმწიფოში მთავარი მმართველი გუნდის სტაბილურობის შენარჩუნებაა. უამრავი ფორმატია, სადაც შეგვიძლია, ჩვენი განსხვავებული აზრები ერთმანეთს დავუპირისპიროთ და საკმაოდ ჯანსაღი სიტუაციაა იმისთვის, რომ ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი სიმწვავით ვიკამათოთ, მაგრამ დამოკიდებულების გამოხატვის ფორმები არსებობს, რასაც პარტია თავის წევრისგან მოითხოვს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.



### არჩილ თალაკვაძე: „თუ ეს გამეორდება, კიდევ უფრო მკაცრი პასუხი იქნება“

ჭიჭინაძის გარიცხვას ოპოზიციაც გამოეხმაურა. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ამბობს, რომ მეოცნებეებმა კოლეგას განსხვავებული აზრი არ აპატიეს. მელიას აზრით, ეს ყველაფერი ჭიჭინაძემ პატივად უნდა ჩათვალოს.

– ჭიჭინაძის შემთხვევა ნათელი ილუსტრაციაა, რომ ადამიანი, რომელმაც გამოთქვა განსხვავებული მოსაზრება მთელ რიგ საკითხებზე დანარჩენი „ქართული ოცნების“ დეპუტაციისგან, დასაჯეს. დასაჯეს იმით, რომ „ქართული ოცნების“ რიგებიდან გარიცხეს, მაგრამ, ვფიქრობ, „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვა არ არის დასჯა და ეს არის პატივი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

გარიცხვის გამო ჭიჭინაძე თავს უბედურად არ თვლის. ის ამბობს, რომ დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩება. მომავალში აპირებს, პარტიიდან გარიცხულების ფრაქცია შექმნას, რომელსაც პირობითად „ქართული ოცნება 2012“ ერქმევა.

– მე პოლიტიკაში არ გამიგია ამათ მოსვლამდე ეთიკის კოდექსები და სულ ეთიკაზე საუბრობენ, არ ვიცი, სად გაიზარდნენ, რა ეთიკა დააკლეს ბავშვობაში, რომ ახლა ასაკში აპირებენ ამ ეთიკის კომპენსირებას. ეს ჩემთვის გაუგებარია. კიპლინგი გენიალური იყო, ერთხელ ვახსენე და მაშინ აკილა იყო და ახლა ტაბაკებად გადაიქცნენ და იმედი მაქვს, პარლამენტი ბანდერლოგებად არ გადაიქცევა. ვაპირებ დამოუკიდებლად და დაველოდები, რიგრიგობით ვის გამოყრიან, სახელი, ალბათ, „ქართული ოცნება 2012“ იქნება, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

# ბანკებმა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის დაკრედიტების ინტერესი დაკარგეს



ეროვნული ბანკის მონაცემებით, კომერციულმა ბანკებმა 2018 წლის 6 თვეში საქართველოს რეგიონები სულ 12 მლრდ 508.529 ლარით დააკრედიტეს.

2017 წლის 1 ივლისისათვის ეს მაჩვენებელი 10 მლდ 978.427 ლარს შეადგენდა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში დაკრედიტება 1,5 მილიარდი ლარით არის გაზრდილი.

რეგიონების დაკრედიტების მიხედვით მიმდინარე წლის 6 თვეში კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში ლიდერი კვლავ თბილისია.

ბანკების მიერ დაკრედიტებული ტოპ 5 რეგიონი 2018 წლის 6 თვეში:

თბილისი 10 მლრდ 266.534 ლარი;

აჭარა 1 მლრდ 071.630 ლარი;

იმერეთი 423 მლნ 267.000 ლარი;

ქვემო ქართლი 214 მლნ 104.000 ლარი;

სამეგრელო -ზემო სვანეთი 204 მლნ 888.000 ლარი

ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა აჩვენებს, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში ყველაზე მცირე დაკრედიტება რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონმა მიიღო – 401.000 ლარი. შემდეგ მცხეთა-მთიანეთმა – 3 მლნ 966.000 ლარი და გურიამ 6 მლნ 135.000 ლარი. შიდა ქართლი და კახეთი საბანკო სექტორმა 124 მლნ ლარით დააკრედიტა, ხოლო სამცხე-ჯავახეთი – 69 მლნ 120.000 ლარით.

საბანკო ბაზარზე 16 კომერციული ბანკი ოპერირებს.

# მაია ცქიტიშვილი: „აუცილებელია დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა“



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროს ტექნიკური დეპარტამენტების წარმომადგენლებს შეხვდა.

მთავრობის სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც სამინისტროების რაოდენობა შემცირდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სოზარ სუბარის ყოფილი უწყებიდან დევნილთა განსახლების ფუნქცია გადაეცა.

მაია ცქიტიშვილი სხვადასხვა სამსახურის მუშაობის სპეციფიკით დაინტერესდა. მინისტრმა მოისმინა დეტალური ინფორმაცია დევნილებისთვის საცხოვრებელი კორპუსების მიმდინარე მშენებლობების შესახებ, დაინტერესდა, რა სახის პრობლემები არსებობს და როგორ შეიძლება მათი მოგვარება.

– მიმდინარეობს სტრუქტურული გადალაგების პროცესი. ჩვენი ამოცანაა ვადებისა და ხარისხის დაცვით, სწორად დავგეგმოთ სამომავლო პროცესი, რათა დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობები შევქმნათ, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

დევნილთა განსახლების ფუნქცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – მუნიციპალური განვითარების ფონდის კომპეტენციაში გადავიდა.

# „ქართულ ოცნებაში“ რაღაც ხდება, რაც კარგს არაფერს მოიტანს“

## რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი გარემოცვაზე მაღლა უნდა დადგეს და მაშინ მისი ტყვე არ გახდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, „რას იტყვით „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე?***

– „ქართული ოცნების“ ეს თავგადასავალი დავით ჭიჭინაძით არ იწყება. ამ ამბავს წინამორბედი ჰყავდა და ეს გედევან ფოფხაძე იყო. მაშინ ფოფხაძის პროტესტმა გარკვეული ძვრები გამოიწვია და პარტიის შიგნით განხეთქილება დაიწყო. უკვე გასაგები იყო, ვინ რომელ დაჯგუფებას ეკუთვნოდა. ეს არ იყო მარტივი პროცესი. ეს ბიძინა ივანიშვილის პარტიაში დაბრუნებითაც დადასტურდა.

***– პარტიის ლიდერებმა მაშინ გვითხრეს, ამას არ უკავშირდებაო, მაგრამ ივანიშვილმა დაადასტურა.***

– დიახ. მაშინ გედევან ფოფხაძესთან დაკავშირებული ამბავი თითქოს ამოიწურა, მაგრამ ცოტა ხანი გავიდა და მივიღეთ უფრო მძიმე სურათი ჭიჭინაძის ავტორობით. ე.ი. რაღაც ხდება პარტიის შიგნით, რაც არც ისე სასურველია. კი დაბრუნდა ივანიშვილი, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

***– რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– იმიტომ, რომ საქმე არც ფოფხაძეშია და არც – ჭიჭინაძეში. ამ ორი ადამიანის გარეშეც იარსებებს „ოცნება“, გნებავთ, უფრო მეტი ადამიანიც რომ წავიდეს, ეს რას დააკლებს „ქართულ ოცნებას“, არც არაფერს. აქ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ინციდენტები მიუთითებენ იმაზე, რომ რაღაც პროცესი მიდის, რაღაც ხდება და ეს მიმდინარეობს პროტესტის ფონზე, რაც სირთულეებს წარმოშობს.

ჭიჭინაძემ კი თქვა, არა მგონია ეს გადაწყვეტილება ივანიშვილს მიეღოო, მაგრამ ივანიშვილს დღეს პარტიაში რა ფუნქცია აქვს?! რა თქვა, რომ დაბრუნდა, რატომ დავბრუნდიო, ხომ ყველას ახსოვს?! პარტიის თავმჯდომარის რანგში დაბრუნდა, რიგით წევრად ან დამლაგებლად ხომ არ დაბრუნებულა?!

***– თქვენ თქვით, რომ „ოცნებას“ ამ ადამიანების წასვლით არაფერი დააკლდება, მაგრამ ჭიჭინაძე არ გამორიცხავს, რომ ახალი ფრაქცია შეიქმნას – „ქართული ოცნება – 2012“. მარტო მე არ ვარ, სხვებიც არიანო. საკონსტიტუციო უმრავლესობას საფრთხე ხომ არ შეექმნება?***

– არა მგონია. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ უკან წაიღო თავისი სიტყვები გედევან ფოფხაძემ. მან ბოდიშიც კი მოიხადა და თქვა, რომ ემოციურ ფონზე გააკეთა განცხადება კომკავშირთან დაკავშირებით. ჯერჯერობით ასპარეზზე მხოლოდ დავით ჭიჭინაძეა გამოსული. ფოფხაძე მზად არის, შემრიგებლისა თუ შუამავლის ფუნქციაც კი იტვირთოს, როგორც ეს თავის დროზე ჭიჭინაძემ იტვირთა. ფაქტი ერთია, დიახ, რაღაც პროცესი მიდის, მაგრამ მე არ მგონია, ეს პროცესი კარგი რამის მომტანი იყოს.



***– ვოლსკიმ თქვა, რომ ჭიჭინაძის გარიცხვა პარტიული დისციპლინისკენ გადადგმული ნაბიჯია. მართლაც ასეა?***

– ხშირად ვიშველიებთ ამერიკას, როგორც დემოკრატიის მაგალითს, მაგრამ არ გვახსოვს, რეალურად როგორ მუშაობს იქ დემოკრატია, მაგალითად, როგორ მუშაობენ პარტიები. დაირღვა დისციპლინა თუ არ დაირღვა – ასე არ არის იქ სტრუქტურირებული პარტია. პარტიის იდეა, პარტიის ცნება სხვანაირად არის გაგებული იქ. მთელი ამერიკა, რესპუბლიკელების ჩათვლით, დონალდ ტრამპს ლანძღავს, მაგრამ არავის აზრად არ მოუვა, ტრამპის რესპუბლიკური პარტიიდან გარიცხვის საკითხი დააყენოს. ჩვენ საბჭოური ინერცია მოგვყვება.

თავის დროზე ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ ძალიან სტრუქტურირებული ყოფილიყო პარტია სრულიად გასაგები მიზეზებით. იგივე მიზეზი ჰქონდა მუსოლინისაც, მაგრამ მერე დასავლეთმა ჩათვალა, რომ ასეთი პარტიული წარმონაქმნი მათ ავტოკრატიამდე მიიყვანდა.

***– შეიძლება, ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ პარტია გაწმინდოს იმ პირებისგან, რომლებსაც უმრავლესობისგან განსხვავებული პოზიციები აქვთ?***

– ბიძინა ივანიშვილი დღეს ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არის ის ფიგურა, რომელიც, სასურველია, რაც შეიძლება თავისუფალი იყოს. ლიდერებს ყოველთვის ეტმასნებიან მომხრეთა ის ჯგუფები, რომლებიც ლიდერის იზოლაციას ცდილობენ.

***– გარემოცვაზე მიანიშნებთ, როგორც თავის დროზე იყო შევარდნაძის, სააკაშვილის გარემოცვა?***

– დიახ, რომელიც ყოველთვის არსებობს, არც შევარდნაძის გახსენება გვინდა და არც სააკაშვილის, ისტორიას რომ გადავხედოთ, მთელი ისტორია ნებისმიერი ლიდერისა თუ მეფისა, თავისტკივილად ექცევა ხოლმე გარემოცვა. თავისი გარემოცვისგან შევიწროებულმა მაო ძედუნმა ხუნვეიბინები გამოიგონა. ამ ფაქტს იცნობს ისტორია. გარემოცვა საკმაოდ სერიოზული მოვლენაა. ასე მარტივად ნუ უყურებთ ამ ფენომენს.

***– შეიძლება, მართლაც გარემოცვის ტყვეობაშია ივანიშვილი?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. ერთ-ერთი გზა გარემოცვისგან თავისუფლების შენარჩუნების არის ის, რომ დაპირისპირებული ძალები შეინარჩუნო და იმათ დაპირისპირებაზე ააგოს ლიდერმა თავისი თამაში. საკმარისია, ლიდერმა რომელიმე მხარე აიღოს, რომ ის იმ მხარის ტყვე გახდება უმოკლეს ხანებში და იძულებული იქნება, მათ დაჰყვეს.

ეს ყველაფერი ისტორიისთვის ძალიან ნაცნობი სიუჟეტია. ამიტომ არ არის სასურველი მისი განმეორება, მით უფრო ივანიშვილისთვის ძალიან ადვილია, შუა წერტილი დაიკავოს და არ გადაიწონოს რომელიმე მხარეს.

***– გამორიცხავთ, რომ ეს კვირიკაშვილის თამაში იყოს? კვირიკაშვილს უმრავლესობაში დასაყრდენი დეპუტატები ჰყავდა. ერთ-ერთი ჭიჭინაძეა. შეიძლება, ის კვირიკაშვილის თამაშს თამაშობდეს?***

– გამორიცხვით, რა თქმა უნდა, ვერაფერს გამოვრიცხავ. პოლიტიკა ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ყველა რაუნდი პოლიტიკისთვის ბუნებრივია, უცხო ნამდვილად არ არის. თუმცა, ამის მიუხედავად, ამოცანა ამოცანად რჩება.

მთელ ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი: წინ საპრეზიდენტო არჩევნებია. იმ ნიჰილისტური განწყობების ფონზე, რომელიც ამომრჩეველშია, სულ ადვილია, სახელისუფლებო ძალის კონკურენტებმა ამით ისარგებლონ და ეს დაპირისპირება სათავისოდ გამოიყენონ. ამას ხომ ვერავინ ვერავის დაუშლის?! ეს ფაქტები იქნება გამოყენებული პროვოცირებისთვის და შავი პიარის ასაგორებლად, მით უფრო, სულ ცოტა დრო დარჩა საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

ეს არ აისახება არც კვირიკაშვილზე, არც ჭიჭინაძეზე და არც ივანიშვილზე, მაგრამ საპრეზიდენტო კანდიდატზე, უშუალოდ არა, მაგრამ ირიბად ნამდვილად აისახება და გავლენას იქონიებს. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია.

# ექნება თუ არა რუსეთს რევანშის მცდელობა საქართველოში?

## „ბლუმბერგი“: „რუსეთი ბალკანეთში დამარცხდა“

მარიამ მჭედლიშვილი

მსოფლიოში გრძელდება გამოხმაურება აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე. ამერიკელი ექსპერტები თეთრი სახლის მეთაურის განცხადებებს ჰელსინკიში კატასტროფულს უწოდებენ. ოპონენტები ტრამპს ამერიკის ეროვნული ინტერესების ღალატში ადანაშაულებენ.



რუსეთში ამ მოლაპარაკებებს ზოგი უშედეგოდ აფასებს, ზოგი – იმედიანად. კრემლის მომხრეები აცხადებენ, რომ ამიერიდან მსოფლიო წესრიგს ორი სუპერსახელმწიფო მიხედავს.

ჰელსინკის სამიტმა დააფიქრა ექსპერტები იმ ქვეყნებში, რომლებიც იმედს ვაშინგტონზე ამყარებენ. უკრაინელი ანალიტიკოსების ნაწილი რუსეთთან ომს ისევ წინასწარმეტყველებს. საუბარია ასევე იმაზე, რომ კრემლი უკრაინაში ეცდება რევანშს საპარლამენტო არჩევნების დროს. ამისთვის უკრაინის პოლიტიკურ ძალებს აქვთ საზოგადოებაზე ზეგავლენის საინფორმაციო არხები.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ტრამპი და პუტინი შეთანხმდნენ უკრაინის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურაზე. თუ რამე გაუთვალისწინებელი მოვლენები არ განვითარდა, იულია ტიმოშენკოს გაპრეზიდენტებას საგარეო წინააღმდეგობა არ შეხვდება და პოროშენკოს ის შეცვლის.

„ახალი თაობა“ ამ შეხვედრამდე წერდა, რომ საქართველოს მომავალ პრეზიდენტობის კანდიდატზე პოზიციის გამოხატვისაგან აშშ-ის პირველი პირები თავს იკავებენ. ეს პოზიცია არ შეცვლილა. ცნობილია, რომ ვაშინგტონი არ გამოუცხადებს ნდობას კრემლის მიერ მხარდაჭერილ პირს საქართველოს პრეზიდენტის პოზიციაზე. ამერიკისთვის მიუღებელი არ იქნება ისეთი ყაიდის კანდიდატურა, როგორიც სალომე ზურაბიშვილია.

შესაძლებელია, მოსკოვმა თავისი ძალები საქართველოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მოსინჯოს. ეს იმ შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს, თუ კრემლის პოზიციები შესუსტდება.

„ბლუმბერგის“ თანახმად, რუსეთი ბალკანეთში უკვე დამარცხებულია, თუმცა გავლენისთვის ბრძოლას არ იშლის.

ბალკანეთის სახელმწიფოების უმრავლესობა ან უკვე არის ევროკავშირის წევრი, ან ემზადება იქ შესასვლელად. ნატოს წევრობაც რეალურია. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან ერთადერთი, ვინც შეიძლება ნატოს წევრი არ გახდეს, სერბეთია.

გამოცემის ანალიტიკოსების ინფორმაციით, რუსეთი ყველანაირად უწყობდა და უწყობს ხელს კონფლიქტის გაღრმავებას მაკედონიასა და საბერძნეთს შორის. დასახელების გარშემო უთანხმოების გამო შეფერხდა მაკედონიის წევრობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

დღეს საბერძნეთსა და მაკედონიას შორის მიღწეულია შეთანხმება. ამ მორიგებით, მაკედონიას დაერქმევა ჩრდილოეთი მაკედონია, საბერძნეთის რეგიონს დარჩება მაკედონიის სახელი, ჩრდილოეთი მაკედონია შევა ნატოში.

ექსპერტების თქმით, ბალკანეთში რუსეთს სტრატეგია არ გააჩნია. ის მოქმედებს კონიუნქტურულად, აღვივებს დაპირისპირებას და იწვევს განხეთქილებას.

ანალიტიკოსების აზრით, ასე მოქმედებს მოსკოვი ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებშიც. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის დესტრუქციული მოქმედებები საქართველოში ისევ იჩენს თავს.

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ 15 სააფთიაქო დაწესებულებაში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, თბილისსა და გორში მდებარე 15 სააფთიაქო დაწესებულებაში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო რეალიზაციის ფაქტები გამოავლინეს.

გამოძიების ფარგლებში, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ტარდებოდა საგამოძიებო მოქმედებები „სააფთიაქო ნარკომანიის“ სფეროში ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის გამოსავლენად.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, თბილისსა და გორში 15 სააფთიაქო დაწესებულებაში სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული საშუალებები რეცეპტის გარეშე შეისყიდეს, რითაც უტყუარად დადასტურდა გარემოება, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში ფსიქოტროპული საშუალებების რეალიზაცია უკონტროლოდ ხორციელდება.

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და გორში ჩაატარეს ჩხრეკა შემდეგ სააფთიაქო დაწესებულებებში: შპს „ენძელა“-ში, შპს „ნალი“-ში, შპს „ფარმა 2016“-ში, შპს „ფარმაგიდი +“-ში, შპს „მ.ქ. ფარმა“-ში, შპს „მულტი ვსლ“-ში, შპს „დათუჩა“-ში, შპს „სან ფარმა“-ში, შპს „ნინფარმი“-ში, შპს „იმედი +“-ში, „შპს „ნანფარმა“-ში, შპს „ფარმა-27“-ში, შპს „ნათი+“-ში, შპს „პოლისიფარმა“-ში და შპს „იმედი“-ში.

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია დიდი რაოდენობით გადამალული ფსიქოტროპული პრეპარატები, „შავი ბუღალტერია“ და აფთიაქების საქმიანობის ამსახველი კომპიუტერული მონაცემები.

საქმეზე გამოძიება აქტიურად გრძელდება ყველა იმ პირის გამოსავლენად, ვინც მფარველობს და ხელს უწყობს ქვეყანაში ფსიქოტროპული მედიკამენტების უკანონოდ გავრცელებას.



# მიხეილ სააკაშვილი: „ბანკების მოვალეთა რიცხვი 2012 წელს 110.000 იყო. ახლა ეს რიცხვი გაზრდილია 250.000-მდე“



– ბანკების მოვალეთა რიცხვი 2012 წელს 110.000 იყო. ახლა ეს რიცხვი გაზრდილია 250.000-მდე, ხოლო, ლომბარდს მიმართა 600.000-ზე მეტმა ადამიანმა, სადაც საპროცენტო განაკვეთი არის 45%. საქართველოში დარჩა 3 მლნ ადამიანი და აქედან ყოველმა მეხუთემ მიმართა ლომბარდს, – აცხადებს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

გამომცემლობა FACTCHECK-მა მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე მოკვლევა ჩაატარა და აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს ნახევრად შეესაბამება.

კერძოდ, როგორც FACTCHECK-ის ანალიზშია აღნიშნული, ფაქტების გადამოწმების მიზნით გამომცემლობამ აღსრულების ბიუროს მიმართა და მოვალეთა რეესტრის მსესხებელთა გასული წლების ოფიციალურ სტატისტიკა მოითხოვა, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღიათ. ამიტომ კვლევა დაფუძნებულია ფაქტ-მეტრისა და სხვა საინფორმაციო სააგენტოების არქივების მონაცემებზე.

მოპოვებული ინფორმაციით, 2012 წლის ბოლოს მოვალეთა რეესტრში დაახლოებით 90.000 პირი იყო რეგისტრირებული, რაც მიმდინარე მაჩვენებელზე (256.316 მსესხებელი) 2.8-ჯერ მცირე მონაცემია. ამდენად, წარმოდგენილ განცხადებაში მიხეილ სააკაშვილი სწორად აღნიშნავს, რომ მოვალეთა რეესტრის მსესხებელთა რაოდენობა 2012 წელთან მიმართებით საგრძნობლად გაზრდილია. თუმცა, აღნიშნული რეესტრი მოიცავს ნებისმიერ ორ მხარეს შორის წარმოშობილი ვალდებულებების შედეგად აღსრულებას გადაცემულ საქმეთა მაჩვენებელს და არა მხოლოდ, ბანკების მოვალეთა რიცხვს.

განცხადების მეორე ნაწილში მიხეილ სააკაშვილი ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებს განიხილავს.

აღნიშნული გამოკვლევის მიხედვით, 2017 წელს ლომბარდების „მსესხებელთა რაოდენობა“ 609 ათასი ფიზიკური პირისგან შედგებოდა, თუმცა საქსტატის ინფორმაციით, აღნიშნული რაოდენობა დაანგარიშებულია ლომბარდების მიერ მსესხებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით. მაგალითად, ერთი ადამიანის მიერ ლომბარდიდან ორჯერ გამოტანილი სესხი მსესხებელთა რაოდენობაში 2 ხელშეკრულების სახითაა ჩათვლილი. ამდენად, მაჩვენებელი მსესხებლების უნიკალურ რაოდენობას არ გამოხატავს. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის აქცენტი, რომ 2017 წელს საქართველოს ყოველმა მე-5 მოქალაქემ მიმართა ლომბარდს, მართებული არ არის.

2017 წელს ლომბარდების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მართლაც 45.4% იყო. თუმცა, მიმართვაში სააკაშვილი ამ მაჩვენებელს უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს და უგულებელყოფილია ცვლილების ტენდენცია, რომლის თანახმადაც 2013 წლის გამოკვლევასთან მიმართებით, განაკვეთი 8.7 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

აღნიშნული განცხადების პირველ ნაწილში მიხეილ სააკაშვილი აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრის მონაცემებს ასახელებს.

მოვალეთა რეესტრი არის აღსრულების ეროვნული ბიუროს ელექტრონული ბაზა, რომელიც ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე გამოიყენება. მასში განთავსებულია სააღსრულებო ინფორმაცია იმ ფიზიკური, იურიდიული პირებისა და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების (გარდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა) შესახებ, რომელთა მიმართ აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან და რომელთა მიმართაც გავიდა ფულადი გადახდევინების თაობაზე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილი ვადა, გარდა უზრუნველყოფილი მოთხოვნისა. მსესხებლის შესახებ ინფორმაცია ბაზაში შეიტანება მის წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან დაუყოვნებლივ.

აღსრულების შეჩერების შედეგად კი პირის შესახებ მსესხებლის მონაცემები რეესტრიდან ქრება. ამდენად, მოვალეთა რეესტრში არსებული რაოდენობრივი ინფორმაცია მსესხებელი პირების შესახებ მუდმივად ცვალებადია. 2018 წლის 3 ივლისის მდგომარეობით, მოვალეთა რეესტრში დაფიქსირებულია 256 316 დებიტორის მონაცემი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მსესხებელთა მაჩვენებლები, რომელთა წინააღმდეგაც აღსრულება მოქმედებს ვებგვერდზე ვიზიტის მომენტში.

ამდენად, მიხეილ სააკაშვილის განცხადების სრულად გადასამოწმებლად და წლების მიხედვით რეესტრში დაფიქსირებულ მოვალეთა სტატისტიკის მოპოვების მიზნით, ფაქტ-მეტრმა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 18 აპრილს აღსრულების ეროვნულ ბიუროში წერილი გაგზავნა.

უწყებასთან დამატებითი კომუნიკაციის რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ფაქტ-მეტრს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია ამ დრომდე არ აქვს მიღებული. შესაბამისად, წარმოდგენილ ანალიზში მიხეილ სააკაშვილის განცხადების გადამოწმებისთვის გამოყენებულია ჩვენთვის ხელმისაწვდომი მეორეული დოკუმენტები, როგორც ჩვენი არქივიდან, ისე სხვა წყაროებიდან.

2012 წლის დასაწყისისთვის მოვალეთა რეესტრში 70.000-მდე პირი იყო დარეგისტრირებული. 2013 წლის აგვისტოს მონაცემებით, აღსრულება 92.933 მსესხებლის წინააღმდეგ იყო დაწყებული.

2014 წლის პირველი იანვრისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 107.805-ს უტოლდება. 2016 წლის ოქტომბერში კი მოვალეთა რეესტრში 178.500 ჩანაწერი მოიპოვებოდა. აღნიშნული მაჩვენებლები, გასული წლების განმავლობაში, მოვალეთა რეესტრის მსესხებელთა ბაზის მზარდ ტენდენციას აჩვენებს.

წარმოდგენილი მონაცემებით იკვეთება, რომ 2012-2014 წლებში მოვალეთა რეესტრის ბაზის მონაცემები საშუალო წლიური 19.000 ჩანაწერით იზრდებოდა.

მოცემული დათვლით, 2012 წლის ბოლოს მოვალეთა რეესტრში 90.000-მდე მსესხებელი უნდა ყოფილიყო დარეგისტრირებული, რაც მიმდინარე მაჩვენებლებს 2.8-ჯერ ჩამოუვარდება. აღსანიშნავია, რომ მსესხებელთა რაოდენობა ნაკლებია სააღსრულებო წარმოებათა რიცხვზე, რადგან არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი პირის წინააღმდეგ რამდენიმე სააღსრულებო წარმოება ერთდროულად მიმდინარეობს. აქვე აღსანიშნავია, რომ მოვალეთა რეესტრი მოიცავს მონაცემებს არა მხოლოდ ბანკების მოვალეთა, არამედ ნებისმიერი ორი მხარის მონაწილეობით წარმოშობილ ვალდებულებათა შესახებ, რომელიც გადაეცა აღსრულებას, შესაბამისად, მთლიანი მოცულობიდან მხოლოდ ნაწილია ბანკის მოვალეთა ოდენობა.

გარდა მოვალეთა რეესტრის ბაზისა, მიხეილ სააკაშვილი ლომბარდების მსესხებელთა მონაცემებსაც განიხილავს. აღნიშნული მაჩვენებლები საქსტატის მიერ 2017 წლის განმავლობაში განხორციელებულ ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევის ძირითად შედეგებს ეყრდნობა. ლომბარდების სტატისტიკური გამოკვლევა საქსტატმა, გარდა გასული წლისა, 2013 წელსაც ჩაატარა.

2013 წლამდე პერიოდების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

მნიშვნელოვანია, რომ საქსტატის ინფორმაციით, ლომბარდების სტატისტიკურ გამოკვლევაში მსესხებლები დათვლილია ლომბარდებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რიცხვის მიხედვით და გამოკვლევაში მოცემული დებიტორების მაჩვენებელი ფიზიკური და იურიდიული პირების უნიკალურ რაოდენობას არ ასახავს.

2017 წელს ლომბარდებში გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების რაოდენობამ 609.358 შეადგინა, აქედან 99.6% ხელშეკრულება გაფორმებული იყო ფიზიკური პირებზე, სულ 606.875 ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ მოცემული რაოდენობა 2013 წელთან შედარებით, 10.9%-ითაა შემცირებული.

მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ლომბარდის მსესხებელთა რაოდენობრივი შემცირებისა, 2013 წელთან მიმართებით 2017 წელს 95.1 მლნ ლარით იყო გაზრდილი ლომბარდების მიერ გაცემული სესხების ოდენობა. მონაცემი გასულ წელს 405.8 მლნ ლარს შეადგენდა, საიდანაც 391 მლნ ლარის ღირებულების სესხი გაცემული იყო ფიზიკურ პირებზე.

საქსტატის ინფორმაციით, 2013 წელთან მიმართებით შემცირებულია ლომბარდებში დაფიქსირებული სესხის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთიც. 2017 წელს საპროცენტო განაკვეთი ლომბარდებში, საშუალოდ, 45.4% იყო, რაც 2013 წლის ანალოგიურ მონაცემზე 8.7% პუნქტით ნაკლებია.

მაჩვენებელი ასახავს ხელშეკრულებათა და არა უნიკალურ მსესხებელთა ოდენობას.

## საქართველომ მესამე კვარტალში 1.191 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი უნდა გადაიხადოს



საქართველომ მესამე კვარტალში 1.191 მილიარდი დოლარის საგარეო ვალი უნდა გადაიხადოს.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული საგარეო ვალის გადახდის გრაფიკით (31 მარტის მდგომარეობით) დაუყონებლივ გადასახდელი თანხა 896.2 მლნ დოლარს შეადგენდა. მათ შორის ძირითადი თანხა 773.3 მლნ, პროცენტები 122.9 მილიონია.

აღსანიშნავია, რომ „დაუყონებლივ“ სტატუსშია ბანკებში არსებული 561.9 მილიონის დეპოზიტები და სხვა სავალო ვალდებულებებიც.

გრაფიკის მიხედვით, ქვეყანამ კიდევ 1.096 მილიარდი მეოთხე კვარტალში უნდა დაფაროს.

საგარეო ვალის უმეტესი ნაწილი კერძო სექტორის საგარეო ვალია.

შეგახსენებთ, საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით 17.5 მლრდ აშშ დოლარი (42.2 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 111.5 პროცენტია. სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ აშშ დოლარი (13.0 მლრდ ლარი; მშპ-ს 34.5 პროცენტი), დანარჩენი სახელმწიფო კომპანიების, კერძო ბიზნესის, ბანკებისა და ეროვნული ბანკის (297.7 მლნ აშშ დოლარი (718.8 მლნ ლარი; მშპ-ს 1.9 პროცენტი).

**კომერსანტი**

## ირაკლი კოვზანაძე: „საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა 23 ათას ფიზიკურ პირს ცხოვრებას გაუადვილებს“



– საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რაც დადებითად აისახება მეწარმეებზე: ისინი ეკონომიკურ აქტივობას დაუბრუნდებიან და დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნიან, – განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ გუშინ პარლამენტის პლენარულ სესიაზე, სადაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილი შესაბამისი ცვლილება პირველი მოსმენით განიხილეს.

– მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 27 ათასი გადამხდელიდან, რომელიც ამ ცვლილებით ისარგებლებს, 23 ათასი – ფიზიკური პირია. დავალიანების ჩამოწერა ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს არა მარტო ეკონომიკური საქმიანობა, არამედ, ზოგადად, ცხოვრება გაუადვილდებათ. ზოგიერთ მათგანს აქამდე, შესაძლოა, ტელეფონის განვადებით ყიდვაც კი არ შეეძლო, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პარლამენტში დაჩქარებული წესით განიხილება, ითვალისწინებს გადამხდელებისთვის 2013 წლის პირველ იანვრამდე დაგროვილი საგადასახადო დავალიანებისა და მასზე დარიცხული საურავების სრულ ჩამოწერას. აღნიშნული დავალიანების ჯამური მოცულობა 550 მილიონი ლარია.

## დავით ლორთქიფანიძე: „კვირიკაშვილი, შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რამ და საგამოძიებო ორგანოებმა ნებისმიერი თანამდებობის პირი თუ ყოფილი თანამდებობის პირი (მათ შორის, მეც) უნდა გამოიკითხოს, რომ პასუხგაუცემელი კითხვები არ დარჩეს. ჩვენ ის სტერეოტიპი უნდა დავანგრიოთ, რომ თუ ადამიანი თანამდებობაზეა, მას არავინ ეხება, თუ არ იქნება თანამდებობაზე, მას შემდეგ მოჰკითხავენ პასუხს.

ამიტომ არც ერთ ჩინოვნიკს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ სახელმწიფოს ფულს დახარჯავს არამიზნობრივად და მას პასუხს არ მოჰკითხავენ. ამიტომ პროკურატურის მიერ ყოფილი თანამდებობის პირების გამოკითხვას აბსოლუტურად ნორმალურად მივიჩნევ. პირიქით, ვფიქრობ, პროკურატურა გამოვა ჯადოსნური წრიდან, ნებისმიერ ადამიანს გაჩენილ კითხვაზე პასუხს მოსთხოვენ, იერარქიის მიუხედავად, რაც ჩვენი ამომრჩევლისთვის კარგი გზავნილი იქნება.

***– ისე, ვაღიაროთ, რომ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა, დიდი ძვრები მოხდა ხელისუფლებაში.***

– კი ბატონო.

***– მომავალში კიდევ რას უნდა ველოდოთ, რა არის შესაცვლელი?***

– ბატონმა ბიძინამ თავის დროზე განაცხადა, რაღაც უნდა მოხდეს განსაკუთრებული, რომ პოლიტიკაში დაბრუნდეს. ბატონი ბიძინა დაბრუნდა, ბევრი რამ გადაფასდა, სამთავრობო მოცემულობა შეიცვალა – სტრუქტურა, მინისტრები. სამი სამინისტროსა და მათი აპარატის შემცირება წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამას უნდა მოჰყვეს ხარჯების სერიოზული ოპტიმიზაცია მომავალი წლიდან. მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობა აგვისტოდან დაიწყება, სექტემბერში იქნება 2019 წლის ბიუჯეტის მონახაზი, სადაც იქნება გათვალისწინებული ხარჯების შემცირება. სექტემბერში წარდგენილ 2019 წლის ბიუჯეტში რას წარადგენს, ის არის მთავარი.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ პარტიულ სტრუქტურებსაც გადახედავენ.

***– რას გულისხმობთ?***

– რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებსაც მიაქცევენ ყურადღებას. ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებმაც 2012 წელს თავი გადადეს, თავიანთი ოჯახები რისკის ქვეშ დააყენეს, უნდა დაელაპარაკონ, მათი მოსაზრება უნდა გაიზიარონ და მათთან ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები. ყველაფერს სჭირდება ანალიზი. რეგიონებში ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებიც მემატიანეები და პარტიული ორგანიზაციების დამფუძნებლები არიან. დარწმუნებული ვარ, ბატონი ბიძინა ამას გააკეთებს. ის შეხვდება ჩვენს იმ აქტივს, რომელიც 2012 წელს გვყავდა.

***– ზოგიერთი, მაგალითად, ნაციონალების გვერდით აღმოჩნდა.***

– გეთანხმებით, ტელევიზიით ვნახე ნაციონალების შეკრება და გაკვირვებული დავრჩი მხოლოდ ერთი პერსონის გამო.

***– ვის გამო?***

– მურმან დუმბაძის. დანარჩენები ნაციონალებს არც არასოდეს მოსცილებიან. ნაცმოძრაობის სატელიტები არიან. ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა ნაციონალებთან მურმან დუმბაძე დავინახე. ალბათ, მას რაღაც ახსნა აქვს და თვითონ უფრო კარგად განმარტავს.

***– პრეზიდენტის პოსტზე ვაშაძის კანდიდატურას როგორ აფასებთ?***

– გამორიცხულია. ვაშაძეს საქართველო მხარს არ დაუჭერს. რაში სჭირდება ვაშაძეს პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება, ჩემთვის გაუგებარია.

***– ისევ ოცნებაზე რომ ვისაუბროთ – კვირიკაშვილის წასვლიდან გარკვეული დრო გავიდა. როგორ აფასებთ მის საქმიანობას პრემიერის პოსტზე? როგორი პრემიერი იყო?***

– ყველა პრემიერ-მინისტრს, რომელიც „ქართული ოცნების“ პირობებში იყო, თავისი პატარა წვლილი აქვს შეტანილი ქვეყნის წინსვლაში. კვირიკაშვილის წასვლიდან ჯერ იმდენი დრო არ გასულა, რომ მისი საქმიანობა რეალურად შევაფასოთ.

***– ზოგს გული დასწყდა კვირიკაშვილის წასვლის გამო. არის საუბრები იმაზე, თითქოს გარკვეული ნეგატივები აღმოაჩნდა მას და ამიტომ მისი გაშვება აუცილებელი გახდა.***

– ნაჩქარევ შეფასებებს ნუ გავაკეთებთ.

***– კვირიკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას ელოდებით? შეიძლება, კვირიკაშვილი „ქართულ ოცნებაში“ კიდევ დაბრუნდეს?***

– ეს, ალბათ, დროის ამბავია. როგორც ვიცი, კვირიკაშვილი საზღვარგარეთ გარკვეული მხარდაჭერით სარგებლობდა. მანამ, სანამ იყო პრემიერ-მინისტრი, გარკვეულ დადებით იმპულსებს გამოსცემდა. დღეს ის არ არის პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის პოლიტიკაში არ დაბრუნდება – არასოდეს თქვა არასოდეს.

# სამართალდამცავებმა 11 კილოგრამი კონტრაბანდული ოქრო ამოიღეს



საგამოძიებო სამსახურმა ოქროს კონტრაბანდის ოთხი ფაქტი გამოავლინა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ოთხი ფაქტი გამოავლინეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამ შემთხვევაში, დანაშაულში მხილებული პირები, საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის" გავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლისგან მალულად არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანას ცდილობდნენ.

ხოლო ერთ შემთხვევაში, ბრალდებული, საბაჟო გამშვები პუნქტის „ვალეს" გავლით, მისი მართვის ქვეშ არსებულ ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავის საშუალებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების შემოტანას ცდილობდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია ჯამში 11,2 კგ ოქროს ნაკეთობები, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 670 000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით" – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვაკეში, ფალიაშვილზე, ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს



თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, მშენებარე კორპუსის ეზოში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ანანურთან სომეხი ეროვნების რუსეთის მოქალაქე დაიღუპა

## ლადა ხევში გადავარდა

18 ივლისს დუშეთის რაიონის სოფელ ანანურთან ლადას მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა. შემთხვევის შედეგად ავტომობილში მყოფი მგზავრი ადგილზე დაიღუპა, მძღოლი კი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილში სომეხი ეროვნების რუსეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ.

მომხდარ ფაქტზე საქმე აღიძრა მუხლით ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე არასრულწლოვანი დ.ღ. დააკავეს



ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვანი დ.ღ. დააკავეს.

ამის შესახებ შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„2017 წლის პირველ დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილი საქმის ფარგლებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვანი დ.ღ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დ.ღ.-მ, რომელიც უშუალოდ შეესწრო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს, განზრახ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს და მისცა ცრუ ჩვენება.

კერძოდ, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე გამოძიებაში მოწმის სახით გამოკითხვისას დ.ღ.-მ განაცხადა, რომ გარდაცვლილ დავით სარალიძეს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ კონფლიქტში მონაწილე გ.ჯ და მ.კ, რა დროსაც მ.კ. ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა დავით სარალიძეს, თუმცა, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მ.კ-ს ფიზიკურ დაპირისპირებაში მონაწილეობა უარყო.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სასამართლო სხდომამდე დ.ღ. შეხვდა გარდაცვლილი დავით სარალიძის მშობელს და ესაუბრა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა, სასამართლო განხილვის სტადიაზე მსგავსი შეხვედრა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი უარყო.

შესაბამისად, მოწმე დ.ღ.-მ არასწორი ინფორმაცია არაერთხელ მიაწოდა სასამართლოს როგორც დანაშაულის, ისე შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ გამოყოფილი საქმის ფარგლებში, მოწმეზე ზემოქმედებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული არიან მირზა სუბელიანი და მერაბ მორჩაძე.

მკვლელობის ძირითადი საქმიდან გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს გამოძიებას", – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# ქუმსიშვილი-ალავიძის საქმე — პროკურატურა 710 მილიონის პროექტისთვის ნასესხებ ფულს ეძებს



პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ დიმიტრი ქუმსიშვილი საგამოძიებო უწყებაში დაბარებას ისევ ელოდება. 18 ივლისს ყოფილ ვიცეპრემიერთან სახლში მისი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია მივიდა.

## ქუმსიშვილს დიმიტრი გაბუნია იცავს

უფლებადამცველი ამბობს, რომ ქუმსიშვილის ინტერესებს უკვე ერთი თვეა იცავს.

ადვოკატი ჯერ არ ჰყავს ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრს, ზურაბ ალავიძეს. კურიერმა გაარკვია, რომ ალავიძე პროკურატურამ გასულ კვირას დაკითხვა. ალავიძის საცხოვრებელი სახლი ვაკეში დაკეტილია. ის არ იმყოფება არც წავკისის აგარაკზე.

საქმე, რომელზეც ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი პროკურატურამ გასულ კვირას დაკითხა, 710 მილიონიან პროექტს ეხება. ეს ფული საქართველოს ევროპის საინვესტიციო ბანკმა სამტრედია-გრიგოლეთის 57-კილომეტრიანი გზის მშენებლობისთვის ასესხა.

ფული გზის ერთი ნაწილის ასაშენებლად უკრაინულ კომპანია ალტოკომს რეგიონული განვითარების სამინისტრომ ფული წინასწარ მისცა, მაგრამ ამ კომპანიამ გზა ვერ ააშენა და 47 მილიონსაც, რომელიც ჩაურიცხეს, უკან აღარ აბრუნებს.

გამოძიებას კითხვები აქვს სამტრედია-გრიგოლეთის გზის იმ მონაკვეთთან დაკავშირებითაც, რომელსაც ორი ჩინური კომპანია აშენებს.

გამოძიება ეკონომიკისა სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა სამინისტროებში ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ფაქტებზე მიმდინარეობს.

# 22 წლის გეორგ სარქისიანის მკვლელობისთვის გამოძიება ძმებ ხითარიანებს ეძებს

## რა ინტერნეტგარჩევებში მონაწილეობდა მოკლული და რა მოხდა ავლაბარში 1 თვის წინ

თბილისში 22 წლის გეორგ სარქისიანის მკვლელობი მოტივი, სავარაუდოდ, სიტყვიერი დაპირისპირება გახდა, რომელიც ერთი თვის წინ დაიწყო.

გამოძიება ძმებს ეძებს, რომლებიც ამ დრომდე მიმალვაში იმყოფებიან.

ძმების მამის თქმით, შელაპარაკება ახალგაზრდებს შორის მათ საცხოვრებელ სახლთან უმისამართო სროლის გამო დაიწყო. მისმა შვილმა, ერიკ ხითარიანმა, მოკლულ გეორგ სარქისიანს, ჰაერში გახსნილი ცეცხლის გამო, მეზობლებისთვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რასაც სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. სავარაუდოდ, გინება გახდა სადისტური მკვლელობის მოტივიც.

მოკლული ხშირად მონაწილეობდა ინტერნეტგარჩევაში, რომელიც სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში ხდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.



# აფხაზეთში რუსი ბიზნესმენი გაიტაცეს და მის გამოსასყიდად 3 მილიონი დოლარი მოითხოვეს



პეტერბურგელი ბიზნესმენი, ჰოლდინგ პოლიგრაფოფორმლენიეს გენერალური დირექტორი მაქსიმ იაკოვლევი გაიტაცეს. ის თავის საქმეებთან დაკავშირებით ახალ ათონში იმყოფებოდა, როდესაც გამტაცებლები დაესხნენ თავს.

გუდაუთის რაიონში ე.წ. პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამტაცებლებმა მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ 18 ივლისს 200 მილიონი რუბლი (3 მილიონ დოლარზე მეტი) მოითხოვეს.

აფხაზეთის „გენერალური პროკურატურის" წარმომადგენლის, დაურ ამიჩბას თქმით, იაკოვლევი როგორც დამსვენებელი კი არა, როგორც მსხვილი ბიზნესმენი გაიტაცეს. მისივე განცხადებით, შემთხვევა ივნისის დასაწყისში მოხდა.

არსებული ცნობით, იაკოვლევი აფხაზეთში ბინზესსაქმეებისთვის ჩავიდა. ბიზნესმენს მხოლოდ აფხაზეთში შეეძლო ჩასვლა, რადგან მას შემდეგ, რაც ყოფილმა ყირგიზმა პარტნიორმა უჩივლა, იაკოვლევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ყირგიზული გამოცემა კაკტუსი 2017 წლის თებერვალში აცხადებდა, რომ ბიზნესმენ იაკოვლევს უკვე ინტერპოლითაც ეძებდნენ.

# სასამართლომ ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე ბრალდებულები დამნაშავედ ცნო

სასამართლომ ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე ბრალდებულები დამნაშავედ ცნო. ამის შესახებ განცხადებას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

კერძოდ, სასამართლოს ინფორმაციით, 2018 წლის 19 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე, ბრალდებულების დ. თ.-სა და ე. ბ.-ს მიმართ.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 9 ოქტომბერს, ბრალდებულები სხვა პირებთან ერთად მივიდნენ ბ.მ.-ს საცხოვრებელ სახლში, ბრალდებული ე. ბ. ბ.მ.-ს გაეცნო, როგორც „დიდი ქურდული ოჯახის წევრი" და სიცოცხლის მოსპობისა და მოკვლის მუქარით მოითხოვეს 2.000 აშშ დოლარის გადახდა.

მომდევნო დღეებში ბრალდებულები კვლავ დაუკავშირდნენ დაზარალებულს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით რამდენჯერმე განუსაზღვრეს თანხის გადახდის ვადა.

2017 წლის 17 ოქტომბერს, ე. ბ.-მ ბ.მ.-სთან სატელეფონო საუბრისას სახეზე ჭრილობის მიყენებისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით, კვლავ მოითხოვა თანხის გადახდა. იმავე დღესვე ბრალდებულებმა გ.ქ.-სა და თ.ბ.-ს დაავალეს დაზარალებულის მოძებნა და ცემა.

საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და საქმეში არსებულ სხვა მასალათა ერთობლიობით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულთა მხრიდან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მათ მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. ორივე ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

# პუტინმა აღიარა, რომ ყირიმში რეფერენდუმი რუსეთმა ჩაატარა



ჰელსინკიში გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისთვის ყირიმის საკითხი გადაწყვეტილია და გადასინჯვას არ ექვემდებარება.

— ჩვენ ყირიმში საერთაშორისო სამართლის ყველა წესის დაცვით ჩავატარეთ რეფერენდუმი. ყირიმის მოსახლეობამაც თავისი ნება დააფიქსირა, — თქვა პუტინმა.

ამ ფრაზას კიევში უმალ ხელი ჩაავლეს. რუსეთის პრეზიდენტიც ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— პუტინი აღიარებს, რომ მან ჩაატარა რეფერენდუმი, ანუ ჯერ ნახევარკუნძულის ოკუპაცია მოახდინა, შემდეგ ავტომატების ქვეშ ე.წ. რეფერენდუმი ჩაატარა, — ამბობს პეტრო პოროშენკო.

კრემლის საიტზე პუტინის შეცდომა „შეასწორეს“. იქ ნათქვამია:

— ყირიმის რეფერენდუმი საერთაშორისო კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა. ნახევარკუნძულის მოსახლეობამ თავისი ნება დააფიქსირა.

# ტრამპი: „მოსკოვი აშშ-ის არჩევნებში ჩაერია“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში მართლაც ჩაერია.

— ჩვენი სპეცსამსახურების დასკვნას უყოყმანოდ ვეთანხმები, — აღნიშნა პრეზიდენტმა. მან თქვა, რომ ჰელსინკის პრესკონფერენციის დროს, უბრალოდ, შეეშალა და ერთი სიტყვა გამორჩა.

— ძალიან ვღელავდი და სიტყვა გამომრჩა! ნათქვამიც სულ სხვა კონტექსტით გამომივიდა, — თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ჩარევაზე პასუხისმგებელი პირადად პუტინია.

— ის ქვეყნის ლიდერია და პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც რუსეთში ხდება, — თქვა ტრამპმა.

საერთოდ, ჰელსინკის შეხვედრის შემდეგ ტრამპის რეიტინგი მცირედით, მაგრამ მაინც დაეცა. თუ მანამდე ტრამპს ამერიკელთა 44% უჭერდა მხარს, ახლა ეს მაჩვენებელი 42%-მდე დაეცა.

ამერიკელთა 52% ფიქრობს, რომ ტრამპის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არასწორია. ჰელსინკის შეხვედრაზეც პრეზიდენტი მოვალე იყო, რუსეთთან უფრო ხისტად ელაპარაკა.



# სერგეი სკრიპალი და მისი შვილი რუსეთის მოქალაქეებმა მოწამლეს



ბრიტანულმა პოლიციამ იმ პირთა იდენტიფიცირება მოახდინა, რომლებმაც სერგეი სკრიპალი და მისი შვილი იულია სკრიპალი მოწამლეს. ამის შესახებ ბრიტანული მედია იუწყება.

არსებული ინფორმაციით, სკრიპალების მკვლელობის მცდელობაში რუსეთის რამდენიმე მოქალაქე იყო ჩართული.

— გამომძიებლები მიიჩნევენ, რომ მათ ეჭვმიტანილების იდენტიფიცირება მოახდინეს. ესენი ის პირები არიან, რომლებმაც მომწამლავი ნივთიერება „ნოვიჩოკის“ მეშვეობით თავდასხმა განახორციელეს. მათი იდენტიფიცირება სათვალთვალო კამერების მეშვეობით მოხდა, — იუწყება გამოცემა სანი.

მიმდინარე წლის 4 მარტს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ სოლსბერიში, გრუს ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალი და მისი შვილი იულია სკრიპალი ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერების „ნოვიჩოკის“ ზემოქმედების ქვეშ მოხვდნენ.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ აღნიშნულში რუსეთის ხელისუფლება დაადანაშაულა.

# თურქეთში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა

თურქეთში ორი წლის წინ შემოღებული საგანგებო მდგომარეობა ოფიციალურად გაუქმდა. ამის შესახებ თურქული საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“ იუწყება.

თურქეთში საგანგებო მდგომარეობა 2016 წლის 21 ივლისს, მას შემდეგ შემოიღეს, რაც აღკვეთილ იქნა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

ამ დროის განმავლობაში საგანგებო მდგომარეობა შვიდჯერ გახანგრძლივდა.

საგანგებო რეჟიმის მოქმედების პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ 35-ზე მეტი განკარგულება გამოსცა, რამაც საშუალება შექმნა, 130 ათასი ჩინოვნიკი, იურისტი, აკადემიკოსი, მასწავლებელი და ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები დაეთხოვათ.

ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყანა და თურქეთის ოპოზიცია ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობის გამო აკრიტიკებდა.



# ევროკომისიამ უნგრეთს, შესაძლოა, სანქციები დაუწესოს




ევროკომისიამ უნგრეთის წინააღმდეგ სასანქციო პროცედურის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ევროკომისიის წარმომადგენელმა ნატაშა ბერტომ განაცხადა.

— ევროკომისიამ დღეს გადაწყვეტილება მიიღო, ევროკავშირის სასამართლოს მიმართოს უნგრეთის მიერ ევროპული კანონმდებლობის დარღვევის გამო. ჩვენი პრეტენზიების უმეტესი ნაწილი აღმოფხვრილი არ იყო, — განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა.

მისივე თქმით, 19 ივლისს ევროკომისიამ უნგრეთის ხელისუფლებას ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა მიგრაციის შესახებ კანონთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

— ევროკომისიამ ოფიციალური წერილი გააგზავნა უნგრეთში იმ კანონებთან მიმართებით, რომლებიც ზღუდავს თავშესაფრის მიღების უფლებას, — აღნიშნა ნატაშა ბერტომ.

ბუდაპეშტს ორი თვე ეძლევა, რათა ეს დარღვევები აღმოფხვრას. სხვაგვარად შემდგომში ევროკავშირის საბჭოში, შესაძლოა, მას ხმის უფლება ჩამოერთვას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# თაღლითმა სხვისი მოგების მითვისება ცადა




აშშ-ში სასამართლომ არ დააკმაყოფილა თაღლითის სარჩელი, რომელიც ჯეკპოტის 63 მილიონი დოლარის მითვისებას ცდილობდა. 2015 წელს უცნობმა პირმა კალიფორნიის შტატში ლატარიაში 63 მილიონი დოლარი მოიგო. იღბლიანი თითქმის ნახევარი წელი არ გამოცხადებულა მოგების მისაღებად. ბილეთის მოქმედების ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე ლატარიის ოფისში მივიდა ბრენდი მილნერი და განაცხადა, რომ სწორედ ის იყო გამარჯვებული.

ამის მიუხედავად, მისი ბილეთი არ მიიღეს, ვინაიდან ის მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაში იყო და მისი წაკითხვა შეუძლებელი გახლდათ. ამის გამო მამაკაცი გაბრაზდა და ლატარიას სასამართლოში უჩივლა.

საბოლოოდ საქმე ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლომდე მივიდა. რამდენიმე დღის წინ მოსამართლემ მილნერის სარჩელი უსამართლოდ ცნო. მან იხელმძღვანელა იმ ფაქტით, რომ მამაკაცის ბილეთი იმ მაღაზიიდან, რომელშიც ნამდვილი მომგებიანი ბილეთი გაიყიდა, რამდენიმე მილის დაშორებით იყო შეძენილი. ამასთან, მომგებიანი ბილეთი ერთი დღით ადრე იყო შეძენილი.

რეკორდული მოგება გადაეცემა კალიფორნიის შტატს და ის სახელმწიფო სკოლებს მოხმარდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველომ პორტუგალია დაამარცხა



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის ჯგუფური ეტაპი დაასრულა. ბოლო ტურში ქართველები პორტუგალიას შეხვდნენ და მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში 66:62 დაამარცხეს.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა მთლიანობაში თანაბრად წარიმართა. პირველი პერიოდი პორტუგალიელებმა 18:15 მოიგეს, მეორე კი ქართველებმა – 18:13. მესამეში ისევ სამხრეთევროპელებმა იძალეს – 17:15 და ბოლო პერიოდის წინ ანგარიში თანაბარი იყო – 48:48. გადამწყვეტ მეოთხედში ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეტი მობილიზებით ითამაშა და საბოლოოდ გამარჯვების მოპოვება მოახერხა – 66:62.

საქართველოს ნაკრებში 15 ქულით ბომბარდირი გახდა ნიკა ჩეჩელაშვილი. ყველაზე სარგებლიანი კი ალექსანდრე ფევაძე იყო, რომელმაც 14 ქულა, 6 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება მიითვალა. 11-11 მიითვალეს რატი ანდრონიკაშვილმა და ნიკა დარბაიძემ.

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფის 4 მატჩიდან 2-2 მოგებ-წაგება მიითვალა და 5 გუნდში მესამე ადგილი დაიკავა. ჯგუფიდან პოლონეთი და ფინეთი გავიდნენ, საქართველო კი ტურნირზე 9-16 ადგილების გასანაწილებელ საკვალიფიკაციო რაუნდში გადაერთვება. საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქე იქნება უნგრეთის ნაკრები, რომელმაც ც ჯგუფში მე-4 ადგილი დაიკავა.

# ტორპედო ლიგიდან ლიგაზე გადადის

**შერიფი-ტორპედო 3:0**

**ტირასპოლი. დიდი არენა**

**1:0 ბადიბანგა (9), 2:0, 3:0 სანტუში (40, 55)**

**შერიფი:** მიკულიჩი, სუშიჩი, პოსმაკი, კულუშიჩი, კრისტიანო, კენდიში (ანტონი 75), კაპიჩი (როდრიგესი 73), პალიჩი, ჯოალისონი (კოვეჩევიჩი 89), კამარე, ბადიბანგა

**ტორპედო:** კვასხვაძე, ხურცილავა, კობახიძე, აზაცკი, მარინი, ჰლინკა, ცინცაძე, კუხიანიძე (ტუღუში), გეგეჭკორი (დაფე 46), ქიმაძე, კუტალია (კაპანაძე 68)



ქუთაისის ტორპედო ტირასპოლში ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრაში შერიფთან 0:3 დამარცხდა, გათამაშებას გამოეთიშა და ევროპა ლიგაზე გადაინაცვლა, სადაც მეტოქედ ფარერული კლუბი ვიკინგური ეყოლება.

პირველი შეხვედრა ქუთაისში ტორპედომ 2:1 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გასვლის ილუზია შექმნა, მაგრამ ტირასპოლში გამართულმა მატჩმა ქართულ საკლუბო ფეხბურთს თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა.

ჯერ კიდევ პირველ თამაშამდე ვწერდით, რომ ტორპედოსთვის შერიფის ბარიერის დაძლევა ურთულესი საქმე იქნებოდა. გუნდი რომელიც ეროვნულ ჩემპიონატშიც უფერულ ფეხბურთს აჩვენებს, ჩემპიონთა ლიგაზე ამბიციური გამოსვლით თავს ვერ დაგვამახსოვრებდა. შესაძლოა, ვინმეს შესადავებლად ჰქონდეს არგუმენტი, რომ ჩემპიონთა ლიგისთვის ტორპედო 7 ფეხბურთელით გაძლიერდა. კი ბატონო, 7 ფეხბურთელი დაიმატეს, მაგრამ მათი მაღალკვალიფიციურობა ერთ კვირაში არ გამოჩნდა. პლუს, ერთ კვირაში შეკრებილ გუნდს ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე არაფერი ესაქმება.

გეხსომებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის ჩრდილოურ ფორმატზე (გაზაფხული-შემოდგომა) გადაყვანა მხოლოდ ერთი არგუმენტით ჰქონდა გამყარებული. ასე პირობებში ქართული გუნდები გაცილებით მომზადებული შეხვდებიან ევროტურნირებსო. ფედერაციამ ვერ გაითვალისწინა ერთი ფაქტი – ქართულ კლუბებს სულაც არ ადარდებთ ქვეყნის პრესტიჟი, მათთვის მთავარია სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფილი თანხა სრულად აითვისონ. რატომ უნდა უხადოს კლუბმა ხელფასები „კვალიფიციურ" ფეხბურთელებს 6 თვე, როდესაც შესაძლებელია, ერთ კვირაში ჩაეტიონ.

არ გამოვრიცხავთ, ქუთაისის ტორპედოს ევროპის ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ ლეგიონერებმა, რომლებსაც წელიწადნახევრიანი კონტრაქტები აქვთ, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დატოვონ იმერული გუნდი.

დავუბრუნდეთ მატჩს: შერიფმა იცოდა, რომ გოლის გატანა უნდოდა, ამიტომ ამ საქმეს თავიდანვე შეუდგა, მით უფრო, ტორპედომ ამის საშუალება მისცა. რიონისპირული გუნდი 4-5-1 ტაქტიკური მონახაზით გავიდა მოედანზე, მაგრამ...

4 მცველი – ხურცილავა-კობახიძე-აზაცკი-მარინი, მათ წინ 2 დაცვაზე ორიენტირებული საყრდენი ნახევარმცველი – ჰლინკა და ცინცაძე, ნახევარდაცვის ფლანგებზე 2 მცველი (!) ქიმაძე და გეგეჭკორი (ორივე მათგანი ფლანგის მცველები არიან), ერთი შემტევი ნახევარმცველი კუხიანიძე და თავდასხმაში უფრო ნახევარმცველი კუტალია. გამოდის, ტორპედომ 8 (!) მცველით დაიწყო თამაში, თავდამსხმელის გარეშე.

აქედან გამომდინარე, ტორპედომ მეტოქეს ბურთი თავიდანვე ჩააბარა და დებიუტიც ისეთი გამოდგა, მასპინძლები უკეთეს რომ ვერ ინატრებდნენ – ტირასპოლური გუნდის ლეგიონერმა ბადიბანგამ ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო, ხელი ვერავინ შეუშალა და ანგარიში გახსნა.

მე-40 წუთზე ბადიბანგამ ბურთი კარის წინ სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულ სანტუშს ჩაუწოდა და 2:0.

შესვენების შემდეგ სანტუშმა საჯარიმოდან მესამედ გაუტანა კვასხვაძეს და ყველაფერი დასრულდა.

# ხელბურთელთა ნაკრები დღეს ევროპირველობას იწყებს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ხელბურთში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. შეჯიბრება 20-29 ივლისს ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში გაიმართება. ქვეჯგუფში ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან მასპინძლები – სლოვაკეთი, თურქეთი და ლატვია. თამაშები დღეიდან დაიწყება.

ჩვენი 20-წლამდელთა გუნდი თითქმის 3 თვე ემზადებოდა შეჯიბრებისთვის: ითამაშა თბილისისა და ბაქოს საერთაშორისო ტურნირებში, ხოლო ახლახან კიდევ 3 საკონტროლო მატჩი გამართა ისრაელის ახალგაზრდულ და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებთან. გუნდის უფროსი მწვრთნელია გიორგი გვაზავა, სამწვრთნელო სტაფში კი არიან გიორგი ხელისუფალი და მერაბ მეტრეველი. ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება სრული, 16-კაციანი გუნდით, რომელშიც წარმომადგენლობა აქვს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა, რვავე კლუბს.

ამ ასაკის, 1998 და გვიან დაბადებულთა ნაკრები ამ შეჯიბრებით ასრულებს ასაკობრივი ჩემპიონატების სრულ ციკლს, რომელიც 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალით დაიწყო, ხოლო გაგრძელდა 2016 წლის ევროპისა და 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატებით. სამივე ეს შეჯიბრება საქართველოში გაიმართა და გუნდის ძირითადი ბირთვი საკმაოდ გამოცდილია, თუმცა, შემადგენლობაში არის უმცროსი ასაკის, 2000 წელს დაბადებულთა ნაკრების რამდენიმე ხელბურთელიც, რომელთაც 10-19 აგვისტოს თავიანთი ასაკის ევროპირველობა უკვე თბილისში აქვთ.

20 ივლისი: მონტენეგრო-საქართველო; 21 ივლისი: საქართველო-სლოვაკეთი; 23 ივლისი: ლატვია-საქართველო; 24 ივლისი: თურქეთი-საქართველო;

**ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** სანდრო ხანდოლიშვილი (სტუ-ქარიშხალა), გიორგი ხარაიშვილი (იმედი), იური სილაგაძე (წყალტუბო);

**მოთამაშეები:** ნიკოლოზ ძნელაძე (სამტრედია), ჯემალ იმნაძე (ქუთაისი), ზეზვა იობაშვილი (იმედი), ზურაბ გოგავა (პეგასი), დავით ყორიაული (იმედი), გიგა ბაინაზიშვილი (იმედი), ლუკა ბულბულაშვილი (ბათუმი), გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი), დავით ნიაზაშვილი (გორი), ლევან იმნაძე (ქუთაისი), გიორგი მიქავა (იმედი), გიორგი ლაპიაშვილი (პეგასი), ლევან კორსანტია (იმედი).

## შედეგები

**18 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ზრინსკი-ტრნავა | 1:1 |
| ყარაბაღი-ოლიმპია | 0:0 |
| შერიფი-ტორპედო | 3:0 |
| რუსენბორგი-ვალური | 3:1 |
| სუტიესკა-ასტანა | 0:2 |
| სელტიკი-ალაშკერტი | 3:0 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ჟელეზნიჩარი-ნარვა | 3:1 |

# ზაფხულის თასისთვის ხამაშურიძემ შეკრება დაიწყო

ზაფხულის თასი რაგბიში სტარტს 28 ივლისს აიღებს და საქართველოს ა ნაკრები მიხეილ მესხზე მატჩს არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. 3 აგვისტოს კი ბესიკ ხამაშურიძის შეგირდები ბრაზილიის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან. ტურნირის მეოთხე მონაწილე ტოპ 14-ის 6-გზის ჩემპიონი, პარიზული რასინგია.

გუნდი შევარდენის სანაკრებო ბაზაზე შეკრებას დღეს დაიწყებს. ხამაშურიძემ ზაფხულის თასისთვის 34 მორაგბეს უხმო.

გაფართოებულ შემადგენლობაში 19 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. ყველაზე ბევრი – 9-9 მოთამაშე თბილისის ლელო-სარასენსიდან და გორის ჯიქიდანაა, 6 მორაგბითაა წარმოდგენილი ქუთაისის აია, სამით – მარნეულის არმაზი, ორი-ორი – ბათუმიდან, რუსთავის ხარებიდან და თბილისის ლოკომოტივიდან, ხოლო თბილისის აკადემიიდან ერთი მორაგბეა.

34-კაციან სიაში 4 ისეთი მორაგბეა, რომელთაც სხვადასხვა დროს „ბორჯღალოსნებშიც" უთამაშიათ. ყველაზე გამოცდილი გიორგი შკინინია, რომელსაც ნაკრების კვართით 38-ჯერ უთამაშია და 6 ლელო გაიტანა.




„ბორჯღალოსნები" არიან გიორგი ჭყოიძე, გუგა შენგელია და ირაკლი სვანიძე. უმცროსი „ბორჯღალოსნებიდან", რომლებმაც ცოტა ხნის წინ საფრანგეთში გამართულ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე 3 თამაში მოიგეს, ერთბაშად 8 მორაგბე დაწინაურდა: ლევან პაპიძე, ბექა სალინაძე, სანდრო მამამთავრიშვილი, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, დემურ თაფლაძე, სანდრო სვანიძე, ბექა მამუკაშვილი.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული სია ასეთია:**

**შერკინება:** ჟორჟ სალდაძე (აია), მიხეილ ორაგველიძე (ჯიქი), ლევან პაპიძე (ლელო), გიორგი ჭყოიძე (ლელო), გოგა ხუროშვილი (არმაზი), მიხეილ ფსუტური (ჯიქი), გიორგი კაკაურიძე (ჯიქი), ტარიელ დონაძე (ბათუმი), ბექა სალინაძე (ლელო), მიშო ბაბუნაშვილი (აია), არსენ ტრაპაიძე (ჯიქი), გელა შალამბერიძე (აია), სანდრო მამამთავრიშვილი (ლელო), გუგა შენგელია (ჯიქი), ილია სპანდერაშვილი (არმაზი), ფარნა გასვიანი (ლოკომოტივი), თორნიკე აქუბარდია (ხარები), ხვიჩა ბუჯიაშვილი (ბათუმი), ნიკოლოზ სუხაშვილი (ჯიქი);

**ხაზი:** გიორგი მარგალიტაძე (ლელო), დავით კლდიაშვილი (ჯიქი), მიხეილ ალანია (ჯიქი), თედო აბჟანდაძე (აია), დავით გობეჯიშვილი (აია), დემურ თაფლაძე (ლელო), რევაზ ჯინჯიხაძე (ლელო), აკა ტაბუცაძე (ლელო), თემურ ირემაძე (აია), ირაკლი სვანიძე (ჯიქი), გურამ ქანდაურაშვილი (ხარები), სანდრო სვანიძე (არმაზი), გიორგი შკინინი (ლოკომოტივი), გიორგი ჭუაძე (აკადემია), ბექა მამუკაშვილი (ლელო).

# დიდიე დიდია

დიდიე დეშამი გახდა მესამე ადამიანი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, რომელმაც მუნდიალი ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში მოიგო. მანამდე მსგავსი მიღწევა მხოლოდ გერმანელ ფრანც ბეკენბაუერს (1974 და 1990) და ბრაზილიელ მარიო ზაგალოს (1958, 1962 და 1970) ჰქონდათ.

ვნახოთ, რას ფიქრობს ამ უნიკალურ მიღწევაზე თავად დეშამი:

– ულამაზესი, სასწაული დღე იყო! ფეხბურთელებმა ყველაფერი დამიჯერეს და ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. ახლა საკუთარ თავზე არ ვფიქრობ. მიღწეულით ძალიან ვამაყობ, მაგრამ მე აქ იმისთვის ვარ, რომ მიზნებს მივაღწიოთ. ჩვენ უმთავრეს მიზანს მივაღწიეთ! ეს ყველაფერი უდიდესი შრომის დამსახურებაა! 2 წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ფინალი წავაგეთ, მაგრამ დაუჯერებლად ბევრი ვიშრომეთ და ახლა 4 წლის მანძილზე მსოფლიოში საუკეთესოები ვიქნები!

დეშამს საფრანგეთის ორივე ჩემპიონობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. 1998 წელს ფრანგებს ზინედინ ზიდანი ჰყავდათ, რომელმაც ფინალში დუბლი შეასრულა, დეშამის როლი 20 წლის წინაც უმნიშვნელოვანესი იყო! დიდიე გუნდის კაპიტანი, საყრდენი ნახევარმცველი და უმთავრესი მოტივატორი გახლდათ.



„უკომპრომისო გენერლად" წოდებული დეშამი საფრანგეთის ნაკრებს 2012 წლიდან წვრთნის და ზუსტად ისე, როგორც ფეხბურთელობის დროს, 49 წლის სპეციალისტი დღესაც აბსოლუტური პრაგმატიკოსია. სწორედ პრაგმატული მიდგომით მიაღწია მან ისეთ წარმატებას, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონობაა. დეშამის ხელში თვით კილიან მბაპე და ანტუან გრიზმანიც კი შავ სამუშაოს ასრულებდნენ.

ცივსისხლიანმა პრაგმატიკოსმა საფრანგეთს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ბელგიასა და საფრანგეთში ითამაშებენ

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია კარიერას ბელგიურ გენტში გააგრძელებს. ამ თემაზე საუბარი რამდენიმე დღე მიმდინარეობდა და საბოლოოდ ბელგიური კლუბის ვებგვერდმა დაადასტურა.

– გენტმა დღეს მიაღწია საბოლოო შეთანხმებას 24 წლის ქართველ ფორვარდ გიორგი ქვილითაიასთან. ის ჩვენთან ავსტრიული რაპიდიდან გადმოვიდა. ქვილითაია ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია. მან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და გიორგის გენტში წარმატებებს ვუსურვებთ, – წერია კლუბის ვებგვერდზე.

ავსტრიული პრესის ცნობით, ქვილითაიას სანაცვლოდ გენტმა 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

გიორგი ქვილითაია:

– გენტი იმიტომ ავარჩიე, რომ ძალიან ამბიციური კლუბია, მეც ამბიციური ფეხბურთელი ვარ. ასე რომ ერთმანეთს აუცილებლად გავაძლიერებთ. გენტში უკვე თამაშობს 2 ჩემი თანამემამულე. ორივე გიორგი, ყველა გიორგი ქართველი არ არის, მაგრამ უმეტესობა ასეა. მე უკვე ვესაუბრე ჩაკვეტაძეს, რომელმაც მითხრა, რომ გუნდი მართლაც ძლიერია, შესანიშნავი ატმოსფეროა, როგორც ერთ დიდ ოჯახში. ვიცი, რომ გენტს ძალიან კარგი ფანები ჰყავს, ქალაქში ყველას უყვარს ფეხბურთი და გენტი და ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის.

შეგახსენებთ, რომ ქვილითაიამ მაისში კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო და მისი დაბრუნება სექტემბრისთვისაა ნავარაუდევი. რაპიდის შემადგენლობაში მან 55 მატჩში 22 გოლი გაიტანა.



გენტის რიგებში უკვე ირიცხება ზემოთ ნახსენები 2 ქართველი ნახევარმცველი, გიორგი ჩაკვეტაძე და გიორგი ბერიძე.

კიდევ ერთი ჩვენებური, საქართველოს ეროვნული ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი, ჯაბა ჯიღაური, კარიერას საფრანგეთის მეორე დივიზიონში გააგრძელებს.

ამის შესახებ ფრანგული გამოცემები გვამცნობენ. ქართველი ფეხბურთელის ახალი კლუბი მეორე დივიზიონის ბინადარი გრენობლი იქნება.

გრენობლი გასულ სეზონში საფრანგეთის მე-3 ლიგაში გამოდიოდა, თუმცა ერთით აღზევდა. ჯაბა ჯიღაურის ბოლო გუნდი კი ყაზახური ორდაბასი იყო, რომელსაც მიმდინარე წლის დასაწყისში შეუერთდა.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს საფრანგეთში ჩვენი ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა თამაშობდა, რომელიც რეიმსის ღირსებას იცავდა.

# ძაღლმა მიტოვებული კნუტები დაღუპვისგან იხსნა



ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ მენლოში ძაღლმა ახლად დაბადებული კნუტები გადაარჩინა.

ძაღლის პატრონის 30 წლის უიტნი ბრეილის ყურადღება მისი ჰასკის, სახელად ბენერის მოუსვენრობამ მიიპყრო. ძაღლი მას კაბაზე ქაჩავდა და ცდილობდა, რაღაცა ეჩვენებინა. ქალმა გადაწყვიტა ენახა, თუ რა იყო მისი საყვარელი ცხოველის მოუსვენრობის მიზეზი და მას უკან გაჰყვა.

– ის ტყეში შევარდა და მუყაოს ყუთის გარშემო დაიწყო სირბილი. წარმოდგენა არ მქონდა, რა შეიძლება ყოფილიყო ყუთში, – განაცხადა ბრეილმა, – როდესაც ყუთი გავხსენი, ბენერი მაშინვე შიგნით ჩაძვრა და კნუტი ამოიყვანა.

როგორც გაირკვა, ძაღლმა პატრონი მიიყვანა ყუთთან, რომელშიც შვიდი ახლად დაბადებული კნუტი იმყოფებოდა. ბენერის პატრონის თქმით, მისი ჰასკი ნამდვილი გმირია, ვინაიდან, ის რომ არა, კნუტები უეჭველად დაიღუპებოდნენ.

კნუტების სახლში მიყვანის შემდეგ ძაღლი მათ გვერდიდან არ მოშორებია. ის მუდმივად მათ გვერდით იმყოფება და მათთან ერთად სძინავს.

# ინდონეზიელებმა შურის საძიებლად 292 ნიანგი დახოცეს

ინდონეზიის დასავლეთ პაპუას პროვინციის ქალაქ სორონგის მცხოვრებლებმა ადგილობრივ ფერმაში ყველა ნიანგი დახოცეს და ამით შური იძიეს მეგობრის გამო, რომელიც ერთ-ერთ რეპტილიას ემსხვერპლა.

ტოფუს მწარმოებელი ფაბრიკის 31 წლის



თანამშრომელი, სუგიტო, ნიანგების ფერმის ტერიტორიაზე საქონლისთვის ბალახს აგროვებდა, როდესაც მას რეპტილია თავს დაესხა. ადგილობრივებმა ყვირილი გაიგონეს, მაგრამ, როდესაც დასახმარებლად მივიდნენ, ის უკვე მკვდარი იყო.

სუგიტო დაასაფლავეს, ხოლო მისი მეგობრები ნიანგების ფერმაში მივიდნენ და იქ მყოფი ყველა რეპტილია დახოცეს. ისინი დანებით, ცულებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებული.

– ისინი მათ იჭერდნენ, ნაპირზე გადაჰყავდათ და სიკვდილამდე სცემდნენ. საშინელი სანახავი იყო, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

ბუნების დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა ბაზარ ბასარ მანუნლანგმა მომხდარის გამო საკუთარი უკმაყოფილება გამოხატა.

– ნიანგების მასობრივი დახოცვა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის კანონს არღვევს. ნიანგებიც ღმერთის შექმნილი არიან, არსებები, რომლებსაც ასევე ესაჭიროებათ დაცვა, – აღნიშნა მანუნლანგმა.

# მანჩესტერი და არსენალი ბავარიელებით დაინტერესდნენ

როგორც ბრიტანული გამოცემები წერენ, ინგლისური საფეხბურთო გრანდი, მანჩესტერ იუნაიტედი, მომავალ კვირას მიუნხენის ბაიერნს კონკრეტული სატრანსფერო წინადადებით მიმართავს. წყაროს თქმით, ინგლისელები დაინტერესებულნი არიან, საკუთარი რიგები ერთდროულად 2 ბავარიელით შეავსონ – რობერტ ლევანდოვსკი და ტიაგო ალკანტარა „წითელი ეშმაკების“ მთავარ სამიზნეებად სახელდებიან.

ზემოაღნიშნული გამოცემის მტკიცებით, ბაიერნის ხელმძღვანელობა მზად არის, 70 მილიონი ევროს სანაცვლოდ ტიაგო ალკანტარას შეელიოს და მასთან დაკავშირებით შესაბამისი მოლაპარაკების პროცესიც აწარმოოს. რაც შეეხება პოლონელ შემტევს, ფეხბურთელთან მიმართებით არც სავარაუდო სატრანსფერო თანხა და არც რამე დამატებითი სახელშეკრულებო პირობები ამ ეტაპისათვის არ ვრცელდება.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ორივე ხსენებულმა მოთამაშემ, მოქმედი კონტრაქტის თანახმად, „რეკორდმაისტერის“ რიგებში 2021 წლის 30 ივნისამდე უნდა იასპარეზოს. მათ მიმართ სხვადასხვა ევროპული კლუბების ინტერესის თაობაზე კი არაერთხელ წერდა დასავლური პრესა. ამ კონტექსტში ხშირად სახელდებიან ისეთი გრანდები, როგორებიც არიან მადრიდის რეალი და ბარსელონა.

კიდევ ერთი ინგლისური კლუბი, ლონდონის არსენალი კი ბაიერნის შემტევი ნახევარმცველით, კინგსლი კომანით დაინტერესდა. ბრი-



ტანული მედიის ცნობით, „მეთოფეები“ მზად არიან, მიუნხენური კლუბის მესვეურებს აღნიშნული ტრანსფერის განხორციელებისათვის მსუყე წინადადებით მიმართონ.

როგორც ირკვევა, 22 წლის ფრანგი ფეხბურთელის ტრანსფერით არსენალის ახალი მთავარი მწვრთნელი, უნაი ემერია დაინტერესებული. სახელდება კონკრეტული თანხაც, 44 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რაც დაახლოებით 50 მილიონი ევროს ტოლფასია. გერმანულ გრანდთან არსებული ხელშეკრულების თანახმად, კინგსლი კომანმა „რეკორდმაისტერის“ რიგებში 2023 წლამდე უნდა იასპარეზოს.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# იაპონელი დათვს შეებრძოლა და გააქცია

იაპონიის აომორის პრეფექტურის ქალაქ ხიროსაკის მახლობლად დათვი თავს დაესხა ადამიანს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

44 წლის მამაკაცი, რომელიც მტაცებელს გადააწყდა, ამტკიცებს, რომ გვიანობამდე მუშაობდა ვაშლის ბაღში. მისი თქმით, თავდაპირველად ბუჩქებიდან დათვის ორი ბელი გამოვიდა. მან საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, თუმცა გადაწყვიტა, გვერდით გამდგარიყო. ამ დროს კი ბელების კვალდაკვალ დედა დათვიც გამოჩნდა.

მტაცებელმა იაპონელი შენიშნა და მისკენ გაქანდა. მამაკაცი გაიქცა, მაგრამ ფეხი დაუცურდა და მიწაზე დაეცა. როდესაც მიხვდა, რომ დათვს ვერ გაექცეოდა, მას ცხვირში მუშტი ჩასცხო. ცხოველი მაშინვე შეტრიალდა და გაიქცა, ბელებიც მაშინვე უკან მიჰყვნენ.

მართალია, მამაკაცი არ დაშავებულა, მაგრამ ადგილობრივი მონადირეთა კლუბი მტაცებლის დაჭერის ნებართვას ითხოვს. მისი წევრები ვარაუდობენ, რომ დათვი, შესაძლოა,



საფრთხეს წარმოადგენდეს იმ სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელიც დათვის თავდასხმის ადგილიდან 800 მეტრში მდებარეობს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 20 ივლისისთვის



**ვერძი** – ადამიანებთან ურთიერთობისას მოქნილობა და ტაქტი გმართებთ. მოსალოდნელია მოვლენების უეცარი ცვლილება თქვენ სასარგებლოდ. **კურო** – ახლობლებთან ურთიერთობას გაუფრთხილდით. ნუ იქნებით უხეში. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და წონასწორობა. **ტყუპები** – ცრუ დაპირებების გაცემა თქვენვე დაგაზარალებთ. მამაკაცებმა ჯანმრთელობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. **კირჩხიბი** – საოჯახო საქმეები დღის მეორე ნახევარში აკეთეთ. მეტი დრო გაატარეთ ბავშვების გარემოცვაში. **ლომი** – ნებისმიერი სამუშაო აქტიურობასა და მაქსიმალურ ენერგიას მოითხოვს. იყავით უფრო ლმობიერი. **ქალწული** – გარშემომყოფთა ინტერესების დაცვაში პირადად ჩაერთვებით. იყავით კეთილმოსურნე და სამართლიანი. **სასწორი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. მიზნისკენ სწრაფვაში ყველა დასაშვები მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია. **ღრიანკალი** – დღეს განვითარებული მოვლენები თქვენს გუნება-განწყობასა და ჯანმრთელობაზე გავლენას მოახდენს. დღის დევიზია თავდაჯერებულობა და სიმტკიცე. **მშვილდოსანი** – მსხვილი კაპიტალდაბანდებებისაგან თავი შეიკავეთ. იყავით მაქსიმალურად ეკონომიური. **თხის რქა** – კოლექტიური მუშაობისათვის შესაფერისი დღეა. ყველაზე რთულ საქმესაც კი მარტივად გაუმკლავდებით. **მერწყული** – მერკურის რეგრესული მოძრაობა საფრთხეს გიქმნით მოტყუების კუთხით. ამიტომ იოლად ნურავის მიენდობით. **თევზები** – მშვიდი, ჰარმონიული დღეა. პრობლემებისაგან თავისუფლდებით. ფიზიკური შრომა გამოგაცოცხლებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველად ათენსა და რომში; 10. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. გერმანული ლუდი; 13. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. პოპულარული, ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ ათენში; 21. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. რძის შაქარი; 8. პირველი ელექტროსადგური საქართველოში; 9. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 22. პატარა სამკუთხა ალამი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. „დელტა“; 3. იმოლა; 4. ჰეიგი; 5. ლოკალი; 6. კუბელიკი; 8. ივანიშვილი; 10. დუბროვნიკი; 11. ტარანტინო; 14. კოვბოი; 15. უოლესი; 16. „ტვიში“.

**თარაზულად:** 1. ჰაიდუკი; 4. ჰელსინკი; 7. „ტესლა“; 9. განდი; 12. სირაჯი; 13. ფარჩა; 14. კატერი; 17. „ტვისტი“; 18. ღვინობისთვე; 19. ლიპტონი; 20. ჟიგული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფლუგერი; 2. პალესტრა; 3. დრომადერი; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. „ყოჩები“; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. „ჰარიერი“; 16. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. არტემიდა; 21. სეული; 23. რკონი.

**თარაზულად:** 6. „ალადასტური“; 7. ბაიდარა; 8. ნეგუსი; 9. დაბახანა; 14. ცაგარელი; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. ბახმარო; 22. „პირველი“; 24. მელაძე; 25. ადმირალი; 26. „ზანავი“.

## ამერიკელმა სამსახურში დროზე მისასვლელად მთელი ღამე იარა და ამისთვის საჩუქრად მანქანა მიიღო



ამერიკელმა სტუდენტმა 32 კილომეტრი გაიარა იმის შიშით, რომ სამსახურში გასვლის პირველ დღეს არ დაეგვიანებინა და ამისთვის საჩუქრად მანქანა მიიღო.

უოლტერ კარი, რომელიც ალაბამის შტატის ქალაქ ბირმინგემიდანაა, დიდი ხნის განმავლობაში სამსახურს ვერ შოულობდა. როდესაც 20 წლის ამერიკელმა, ბოლოს და ბოლოს, მტვირთავის ადგილი მიიღო, მას მანქანა სწორედ პირველი სამუშაო დღის წინა დღეს გაუფუჭდა. მან ნავიგატორში ნახა, თუ როგორ მიეღწია სამსახურამდე და გადაწყვიტა, ფეხით წასულიყო. ის სამსახურისკენ საღამოს გაემართა.

გზაში მას ყურადღება მიაქცია პოლიციელმა. მისი საქციელით გაოცებული სამართალდამცავი უოლტერს სადილით გაუმასპინძლდა, მიიყვანა ეკლესიამდე, რომელიც ახალგაზრდის სამუშაო ადგილიდან ექვსი კილომეტრით იყო დაშორებული და იქ გადმოსვა. მან მცირე მანძილის გავლა მოასწრო, რომ ის სხვა პოლიციის მანქანამ აიყვანა. როდესაც სამსახურში მისი ისტორია მოისმინეს, სატვირთო მანქანის მოსვლამდე დასვენება შესთავაზეს, თუმცა მან უარი განაცხადა.

როდესაც მისი საქციელის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელმა ლიუკ მარკლინმა შეიტყო, მის სანახავად მივიდა და 2014 წლის გამოშვება Ford Escape-ს გასაღები გადასცა.

კარი დეკემბერში კოლეჯის „სამედიცინო მეცნიერების“ სპეციალობით დამთავრებას გეგმავს. ამის შემდეგ მას სურს, სამხედრო-საზღვაო ძალებში იმსახუროს, შემდეგ კი ფიზიოთერაპიის ფაკულტეტი დაამთავროს უმაღლეს სასწავლებელში.

## მამაკაცს ოფიციანტის უკანალზე შეხება ძვირად დაუჯდა

Reddit-ს მომხმარებელმა გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ჩანს, რომ ოფიციანტმა გოგონამ იატაკზე წააქცია მამაკაცი, რომელიც მას დუნდულებზე შეეხო. ვიდეორგოლის ავტორმა აღნიშნა, რომ ამ ვიდეოს გმირი მისი ბიძაშვილია.



კადრებში ჩანს, რომ მამაკაცმა, როდესაც ოფიციანტ გოგონას გვერდით ჩაუარა, მას დუნდულებზე ხელი მოუთათუნა და გზა გააგრძელა. გოგონა მკვეთრად შეტრიალდა, მას მაისურზე დაქაჩა და იატაკზე დააგდო. ვიდეოდან ჩანს, რომ გოგონამ მამაკაცს რამდენიმე არცთუ სასიამოვნო სიტყვაც უთხრა, თუმცა, კონკრეტულად რა, უცნობია.

Reddit-ს მომხმარებელმა დააზუსტა, რომ რესტორნის დასახელება ამოიღო, ვინაიდან მის მფლობელს არ სურს, სკანდალში აღმოჩნდეს გახვეული.

ვიდეორგოლის კომენტარებში ინტერნეტმომხმარებლები მამაკაცის ქცევით უკმაყოფილო დარჩნენ და მკაცრად გააკრიტიკეს. ასევე ვიდეოს ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნულია, რომ მამაკაცი პოლიციამ დააკავა.

## ზვიგენები ხუთ წუთში ორ ადამიანს დაესხნენ თავს

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფერნანდინაბიჩში ხუთი წუთის განმავლობაში ადამიანებზე ზვიგენების ორი თავდასხმა დაფიქსირდა.

ზვიგენმა 30 წლის დასტინ ტეობალდს იმ დროს უკბინა, როდესაც ის თავთხელ წყალში ისვენებდა. იმ ადგილში წყლის სიმაღლე ნახევარ მეტრს არ აღემატებოდა.

– ვიგრძენი, რომ რაღაც მწვდა ფეხზე და დამქაჩა, – აცხადებს მამაკაცი, – მან კიდევ ერთი-ორჯერ დამქაჩა, შემდეგ კი თავი დამანება და გამშორდა.

ტეობალდი ნაპირისკენ ასკინკილათი გაემართა.

– მან ძლივს მოახერხა წყლიდან ამოსვლა, – ამტკიცებს თვითმხილველი, – ის სამაშველო კოშკურასთან ქვიშაზე დაწვა და ფეხს უხვევდნენ. ზვიგენის კბილებმა მის ფეხზე ორი 10-სანტიმეტრიანი ჭრილობა დატოვა. მამაკაცი შიშობდა, რომ მყესები არ ყოფილიყო დაზიანებული.



მეორე თავდასხმა ხუთი წუთის შემდეგ პირველი თავდასხმის ადგილიდან სამ კილომეტრში მოხდა. ზვიგენი თავს 17 წლის მოზარდს დაესხა და ფეხზე უკბინა. მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ტეობალდის შეფასებით, მასზე თავდამსხმელი მტაცებელი თევზის სიგრძე 120-150 სანტიმეტრს შეადგენდა. მისი აზრით, მას ულვაშა ძიძა-ზვიგენმა უკბინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტელეწამყვანი ანი მამულაშვილს მელანომას ავთვისებიანი სიმსივნე აქვს

ახალგაზრდა ტელეწამყვანს ანი მამულაშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. გოგონას, რომელიც ფართო საზოგადოებამ გადაცემიდან „ერთი ერთში“ გაიცნო, დაუდგინდა ავთივსებიანი მელანომას რეციდივი მრავლობითი მეტასტაზებით.

ანი ხუთი წელია, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის. მას აქვს უმძიმესი დიაგნოზი, რომლის დასაძლევადაც საზოგადოებისგან როგორც მორალური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება.

2013 წლიდან ანი ექიმების დაკვირვების ქვეშაა. ის არ ეპუება დიაგნოზს იმდენად, რომ მკურნალობის შემდგომ პერიოდში გმირული საქმე ჩაიდინა და ბავშვი გააჩინა.

სამწუხაროდ, საქართველოში დასმული დამამშვიდებელი დიაგნოზი თურქეთმა არ დაადასტურა, პირიქით, დაფიქსირდა მეტასტაზური კერები ღვიძლსა და საშვილოსნოზე. თუმცა, რაც მთავარია, ექიმებმა მას გამოჯანმრთელების იმედი მისცეს.

დაენიშნა მკურნალობა, რომელიც, თავის მხრივ, გრძელვადიან მკურნალობასთან ერთად, დიდ ფინანსებს საჭიროებს.

ამ წლების განმავლობაში ოჯახმა საკუთარი რესურსი ამოწურა, ახლა მისი სიცოცხლისთვის მეგობრები იბრძვიან. ანის მკურნალობა 350.000 ჯდება. მეგობრები თხოვნით მიმართავენ რიგით მოქალაქეებს, მთავრობასა და ბიზნესმენებს, დაეხმარონ ანის გადარჩენაში.

ანი მამულაშვილის დასახმარებლად თიბისი ბანკსა და საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშებია გახსნილი.




## ფოთში 5 წლის წინ დაზიანებული „კოლხი დედის“ ქანდაკება ისევ დეფორმირებულია

„კოლხი დედის“ ქანდაკება ფოთის ცენტრალურ მოედანზე 1967 წელს დაიდგა. მისი ავტორები მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და არქიტექტორი ვახტანგ დავითაია არიან.

5 წლის წინ ფოთის სიმბოლო „კოლხი დედის“ ქანდაკება გადაადგილების დროს დაზიანდა. ქანდაკება დღემდე ასეთ მდგომარეობაშია და მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ქანდაკება დემონტაჟის დროს გაუფრთხილებლობის გამო დაზიანდა და მას გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები სჭირდება:

– ძეგლი თავდაპირველად 7 მეტრნახევარი იყო სიმაღლეში, ახლა 60 სანტიმეტრი აკლია. კვარცხლბეკიც 11 მეტრიდან 9 მეტრამდეა შემცირებული. კარგად თუ დააკვირდებით, ქანდაკება დაქანებულია, არასწორად დგას, ხმალი ხელში რომ უჭირავს, ისიც არასწორადაა მიდუღებული. ეტყობა, გადაადგილების დროს დეფორმაცია მიიღო, ქვედა ნაწილი მოჭრილია. მისი პირვანდელი სახის აღსადგენად აუცილებელია რესტავრაცია, თუმცა ამას ვამბობ



ვიზუალური დათვალიერებიდან გამომდინარე, ხოლო დეტალურმა გამოკვლევამ, შესაძლოა, უფრო სერიოზული სამუშაოების ჩატარება მოითხოვოს, – განუცხადა ჟურნალისტებს მხატვარმა ედემი კოკაიამ.

„კოლხი დედის“ დემონტაჟი 2010 წელს, საკათედრო ტაძრის რეკონსტრუქციის დაწყებისთანავე მოხდა. ქალაქის მესვეურები 3 წლის განმავლობაში ფიქრობდნენ, სად გადაეტანათ ქანდაკება. ამ ხნის განმავლობაში „კოლხი დედა“ ჰიდრომექანიზმების ქარხნის ტერიტორიაზე ინახებოდა. საკრებულოს გადაწყვეტილებით კი საბოლოოდ ძეგლი ხელოვნების სკვერში გადაიტანეს.

როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში აცხადებენ, წლევანდელ ადგილობრივ ბიუჯეტში მონუმენტის რესტავრაციისთვის საჭირო თანხა გათვალისწინებული არ არის, ამიტომ ამ პროექტის განხორციელება მომავალი წლისთვის დაიგეგმა.

– ძეგლი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე იყო გადატანილი, რა დროსაც დაზიანდა. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხარო ფაქტია, გვქონდა კონსულტაცია მოქანდაკეებთან და ხელოვნებათმცოდნეებთან, გავიარეთ ყველა დეტალი და გადაწყდა, მომავალი წლის ბიუჯეტში დაიგეგმოს რესტავრაციისთვის საჭირო თანხის გათვალისწინება. წელს მალთაყვის უბნის ტერიტორიაზე მდებარე მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა მემორიალის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, – განუცხადა ადგილობრივ ჟურნალისტებს ფოთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილმა.

## გიორგი ლობჟანიძემ ფრანკფურტის ლიტერატურულ პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა



პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ ფრანკფურტის ლიტერატურულ პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ინფორმაცია ამის შესახებ მწერალმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა გიორგი ლობჟანიძისგან დიდი უარი მიიღო ფრანკფურტის ლიტერატურულ პროგრამაში მონაწილეობაზე. „არა მგონია, ძალიან შეწუხებულიყვნენ ამ ამბით, მაგრამ მაინც. ყველაფერს გავაკეთებ, რაც საერთო სარგებელს მოიტანს და ასევე გავაპროტესტებ ყველაფერს, რაც ამ საქმეს აზიანებს: ამ შემთხვევაში 4 ქართველი და 4 იტალიელი პოეტის იტალიური პროექტის დაფინანსების უარს!“

## როგორ მოხვდა ქართული საგანძური რუსეთში?

ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ საქართველოდან რუსეთში რუსი ეგზარქოსების მიერ გატანილ საგანძურზე ინფორმაცია გაავრცელა:

– რუსეთის ტერიტორიაზე არაერთი ქართული ხელოვნების ნიმუში თუ სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთი ინახება.

ეს პროცესი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო, როდესაც საქართველოს მეფემთავრების მიერ რუსეთის იმპერატორებისათვის გაგზავნილი საჩუქრები ბინას იდებდა სამეფო სალაროებსა და საგამოფენო დარბაზებში.




XIX საუკუნეში ქართული ხელოვნების ნიმუშების გატანამ ინტენსიური და უკონტროლო სახე მიიღო. „თუ რომელიმე ქართველი ავტორი გადაწყვეტს რუსი ეგზარქოსების უზურპატორების ქმედებებზე ნამდვილი ისტორიის დაწერას, გაწითლება მოგვიხდებოდა, იმდენად არცხვენენ ისინი რუს სამღვდელოებას. რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ, ნაძარცვი ქონებითა და ფულით, რუსეთში დაბრუნებულიყვნენ... რუსი ეგზარქოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ გასაძარცვავ მხარეს...“ – ეს სიტყვები რუს ისტორიკოსსა და ფილოლოგს ნიკოლაი დურნოვოს ეკუთვნის. მართლაც რუსმა ეგზარქოსებმა საქართველოდან აურაცხელი საგანძური გაიტანეს. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მაგალითს ჩამოვთვლით:

პალადი რაევმა, საქართველოს ეგზარქოსმა 1887-1892 წლებში, სამეგრელოსა და გურიის მონასტრებიდან გაიტანა უძველესი ხატების ძვირფასი მოკაზმულობა. მარტვილის, ხობის, ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიდან წაიღო მომინანქრებული ხატები. გელათის მონასტრის ხატებიდან გააქრო უძვირფასესი ტიხრული მინანქარი.

პავლე ლებედევმა, საქართველოს ეგზარქოსმა 1882-1887 წლებში, მეტეხის ეკლესიიდან მოიპარა ოქროთი მოჭედილი მეტეხის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც 50 ათასი მანეთი ღირდა და ძვირადღირებული ოქროს ჭედურობა ამშვენებდა. ეს ხატი მოგვიანებით მეტეხის ეკლესიის სხვენზე იპოვეს, მაგრამ მას ოქროს ჭედურობა უკვე მოხსნილი ჰქონდა.

ევსევი ილინსკმა, საქართველოს ეგზარქოსმა 1858-1877 წლებში, გაიტაცა ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან გელათში იყო დასვენებული. ეგზარქოსის მითითებით ხატს ძვირფასი თვლები მოხსნეს, მათ შორის ოთხი დიდი და შვიდი მცირე ლალი, რომლებიც ოდესღაც თამარ მეფის გვირგვინს ამშვენებდა. იმერეთის კათოლიკოსის ოქრომკედით ნაქსოვ მანტიას იმავე ეგზარქოსის ბრძანებით მოხსნეს ყველა მსხვილი მარგალიტებითა და ლალებით შემკული სამკაული, მორთულობიდან რვა გირვანქა ოქრო გამოადნეს. კათოლიკოსის მანტიას მიტრაც მიაყოლეს, რომელსაც ჯვარი ამშვენებდა. სიონის ტაძრიდან წაიღეს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

ეგზარქოსებს არ ჩამოუვარდებოდა ზოგიერთი რუსი მეცნიერი, რომლებიც რუსეთში ახლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებსა და სხვა არტეფაქტებს ეზიდებოდნენ. მაგალითად, 1890 წელს სამურზაყანოში, სოფელ ჭუბურხინჯთან, ახლანდელ გალის მუნიციპალიტეტში, აღმოჩნდა განძი, ადრინდელი რკინის ხანის, ძვ. წ. VIII-VII საუკუნის ძეგლი. ფურცლოვანი სპილენძისაგან დამზადებულ ცილინდრულ ჭურჭელში ეწყო სპილენძის 6 ზოდი, ბრინჯაოს ორი სეგმენტისებრი იარაღი, ვერცხლის 9 და ოქროს 3 ოთხკუთხა დამლიანი ზოდი, ოქროს ორნამენტირებული ფირფიტა, 2 სასაფეთქლე ხვია და გავარსიანი ცალი საყურე. სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის უნიკალური დამლიანი ზოდები საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დადგენილებით გადაადნეს. დანარჩენი ნივთები დაცულია ერმიტაჟში. ჭუბურხინჯის განძი კოლხურ კულტურას განეკუთვნება და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ოქრომჭედლობის ისტორიის შესწავლისათვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 ივლისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2.4546

ევრო — 2.852

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1981

100 რუსული რუბლი — 3.8927

**ამინდის პროგნოზი 20 ივლისისთვის**





## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




**ავთანდილ ბუხრაშვილი**

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




**მაკა სეფაშვილი**

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## ბუბა კიკაბიძე 80 წლის გახდა



მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა. ქართულ კინოსა და ესტრადაზე მან თავისი განსაკუთრებული კვალი დატოვა. გია დანელიას ფილმებში მონაწილეობამ მომღერალს ნამდვილი აღიარება მოუტანა, საესტრადო სცენამ კი — არნახული პოპულარობა.

იუბილარ ხელოვანს ერთი უცვლელი ტრადიცია აქვს — თავის დაბადების დღეს ყოველთვის კონცერტით აღნიშნავს. ზაფხულში კი კონცერტის გამართვა ბათუმში უწევს ხოლმე.

80 წლის ხელოვანი ასაკის მიუხედავად, კონცერტებს მაინც მართავს და ერთგული მსმენელიც არ აკლია. ჯანმრთელობის პრობლემებს არ ეპუება და კონცერტებს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც ატარებს.

ბოლო პერიოდში მისი ყველაზე დიდი სადარდებელი ქართველების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებაა:

– არ მომწონს ერთი ქართველი მეორეს რომ უბღვერს პოლიტიკოსის გამო. რატომ გვავიწყდება, რომ საქართველო სიმღერის, ცეკვისა და სტუმრის ქვეყანაა. ჩვენ მრავალხმიანი ქვეყანა ვართ. ეს არის ჩვენი ოქროს ფონდი. სულ ვამბობ, რომ ჩავკიდოთ ყველამ ერთმანეთს ხელი და „მრავალჟამიერი" დავცხოთ. იმ წუთში ყველაფერი დალაგდება.

## „დედემ" საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოკრიტიკოსთა ჟიურის ჯილდო მოიგო




მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე", რომელიც არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია, საერთაშორისო კინოფესტივალ „ოქროს გარგარზე" კინოკრიტიკოსთა ჟიურის ჯილდოს მფლობელი გახდა.

14 საერთაშორისო პრიზის მფლობელი ფილმი სვან გოგოზე მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულისთვის იბრძვის და იმარჯვებს კიდეც. „დედეს" გადაღებები სვანეთში, ყაზბეგსა და კასპში მიმდინარეობდა. ფილმში პერსონაჟები, ძირითადად, სვანურ ენაზე საუბრობენ. ეს არ არის ერთადერთი პრიზი, რომელიც „დედემ" ბოლო პერიოდში მოიპოვა. მარიამ ხაჭვანის ნამუშევარმა ჟიურის სპეციალური პრიზი მიიღო ევრაზიის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ასეთი წარმატებების პარალელურად, „დედე" ესპანეთის შვიდი ქალაქის კინოთეატრებში იქნა ნაჩვენები.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

ქალი ზღვის სანაპიროს მიუყვება და თავის ნაძირალა ქმარზე ფიქრობს. ამ დროს მის წინ ეშმაკი აღიმართება და ეუბნება:

– შენ ნებისმიერ სამ სურვილს შეგისრულებ და სრულიად უსასყიდლოდ, მხოლოდ ერთი რამ გაითვალისწინე, რასაც შენთვის ისურვებ, შენ ქმარს ორჯერ მეტი მიეცემა.

– კარგი. პირველ რიგში 10 მილიონი დოლარი მინდა.

იმ წამსვე ქალის ხელში 10 მილიონი დოლარის ქვითარი გაჩნდება.

– მეორე, მინდა მდიდრული ვილა ზღვის სანაპიროზე.

იმ წამსვე მის წინ ვილა აღიმართა.

ეშმაკი ეუბნება:

– ახლა შენ ქმარს 20 მილიონი დოლარი და ორი ვილა აქვს. და რა იქნება შენი უკანასკნელი სურვილი?

– ყოველთვის მინდოდა, რომ დიდი და ფუმფულა მკერდი მქონოდა...

●●●

კაცი ცხოველების და ფრინველების ბაზრობაზეა. ხედავს გალიაში თუთიყუში ზის. გამყიდველს ეკითხება:

– რა ღირს შენი თუთიყუში?

– 1000 ლარი.

– რა ამბავია, რატომ ასე ძვირი?

– იმიტომ, რომ ძალიან ჭკვიანია, ბევრი სიტყვა იცის და ახლებსაც ადვილად ითვისებს.

კაცმა იყიდა თუთიყუში, სახლში მიიყვანა. ზის და ელოდება, როდის დაილაპარაკებს. თუთიყუში ხმას არ იღებს. გავიდა ერთი საათი, ორი. თუთიყუში დუმს.

– მიდი, თქვი რამე... თქვი, კეშა კარგია, კეშა კარგია.

თუთიყუში ხმას არ იღებს.

მეორე დღესაც იგივე მეორდება. გადის რამდენიმე დღე, თუთიყუში დუმს.

ბოლოს გაბრაზებული პატრონი ღრიალით ეუბნება:

– მიდი თქვი, კეშა კარგია, კეშა კარგია!!!

ამ დროს თუთიყუში ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, რა არის ინდუქცია და დედუქცია?

კაცს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა და ეკითხება:

– აი ეს მესმის, კი მაგრამ, აქამდე ხმას რატომ არ იღებდი? მასეთი სიტყვები კი პირველად მესმის!

– ჰოდა, ასეთ სულელს, რა უნდა გელაპარაკო?

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით





## ამერიკელმა ძვირფასი სპორტკარი ყიდვის მეორე დღესვე დაამტვრია

ამერიკელმა სპორტკარი შეიძინა და მეორე დღეს ხეს დაეჯახა. ამ ინფორმაციას ვირჯინიის შტატის ფერფაქსის ოლქის პოლიციის დეპარტამენტი ავრცელებს.

მამაკაცმა, რომლის ვინაობას პოლიცია არ ამჟღავნებს, ავტომობილი მაკლარენ 720ს 300 ათას დოლარად შეიძინა. მეორე დღეს მან გადაწყვიტა, მანქანით მაქსიმალური სიჩქარე განევითარებინა, მაგრამ მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა და ხეს შეასკდა.

მძღოლი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ხოლო ავტომობილი აღდგენას არ ექვემდებარება.

– გვინდა შეგახსენოთ, რომ ზოგჯერ დამუხრუჭება ჯობია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ძვირად დაგიჯდეთ, – დაწერეს სოციალურ ქსელში პოლიციელებმა.

მაკლარენ 720ს-ს 100 კილომეტრი საათში სიჩქარის განვითარება 2,9 წამში შეუძლია, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 341 კილომეტრს შეადგენს.



## კაიაკერი გრიზლის სასწაულებრივად გადაურჩა

კანადაში კაიაკერმა ძლივს დააღწია თავი გრიზლის, რომელიც მას ცურვით გამოეკიდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ახალი ამბების სააგენტომ გაავრცელა.

კაიაკერების ჯგუფი მდინარე ელჰოზე, ქალაქ სკვომიშის მახლობლად ეშვებოდა, როდესაც ყველაზე წინ მცურავთან დათვი გრიზლი მიიჭრა. მამაკაცი შეეცადა, მისგან შორს გაეცურა, მაგრამ მტაცებელი წყალში შევარდა და უკან გამოუდგა.

სწრაფმა დინებამ და დიდმა გამოცდილებამ კაიაკერს დათვისგან თავის დაღწევის საშუალება მისცა. მის უკან მცურავი ადამიანების მიმართ დათვს ინტერესი არ გამოუჩენია.



კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ბუნების დაცვის უწყების სერჟანტმა განაცხადა, რომ, მართალია, ამ რეგიონში დათვებთან შეხვედრა იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ აქამდე არასოდეს გაუგია, რომ ისინი ნავს გამოჰკიდებოდნენ.

– ზოგჯერ გრიზლები ან შავი დათვები ტურისტებს აშინებენ. ამით ისინი ცდილობენ აჩვენონ, რომ მათ ტერიტორიაზე მათი ნახვა არ ახარებთ, – დაამატა მან.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული; 2. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. საარყე ტიკჭორა; 5. ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 6. იტალიელი კინორეჟისორი; 8. პრეზიდენტის გადაყენების პროცედურა; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 11. მუზეუმი ბერლინში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 15. ჰერალდიკაში მოკლე წარწერა გერბზე; 16. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი.

**თარაზულად:** 1. უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომატი; 4. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 7. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 9. იტალიური ავტომობილი; 12. აეროპორტი მილანში; 13. მდინარე ბერლინში; 14. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 17. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 18. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს – იზოლატორი; 19. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 20. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

